სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 14 ივნისი 2006 №134 (2756) ფასი 50 თეთრი

იბრძოლეთ ისე, რომ მარცხი იყოს უზენაესი უსამართლობა

ხორვატია არ იყო ნული

წამგებსაც ხალხი ფეხზე ადგნის



რვა წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთმა ბრაზილია დაამარცხა.

იმ ფინალის მერე საფრანგეთის ნაკრებს ერთი გოლიც კი ვერ გაუტანია მუნდიალებზე.

ბრაზილიას კი იმ ფინალის მერე ერთი თამაშიც არ წაუგია — რვა ითამაშა და რვავე მოიგო.

სტატისტიკის მიღმა კი იმალება ნაღდი გრძნობა, რომელიც გაიძულებს ალალად შეგეცოდოს ხორვატია და თანაც... შეგშურდეს. დამოუკიდებლობა ერთად მოვიპოვეთ, რიცხოვნებითაც ტოლები ვართ, არადა, ისინი არიან და სად ჩვენ...

საფრანგეთი ისე დამძიმდა, ზიდანიც ვეღარ ზიდავს

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

F ჯგუფი. I ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP ბერლინიდან

კაკას კანფეტივით გოლი პლეტიკოშას კარში

კაცებმა ჯადოქრები ჩამოაკაცეს

ბრაზილიამ მოიგო, მაგრამ მითი მათი უძლეველობის შესახებ, ვფიქრობთ, შეირყა.

ბრაზილიამ შექმნა მომენტები — ძალიან კარგი მომენტებიც, მაგრამ მის კართან უფრო მეტი მომენტი შეიქმნა და საფიქრებელია, რომ ხორვატიაზე გაწაფული გუნდი ამ მომენტებიდან ერთს მაინც გამოიყენებდა.

მეორე მხრივ კი, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მით უმეტეს თუ გამარჯვებული უნიკალურ ისტორიასაც ქმნის — ბრაზილია ერთადერთი გუნდია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მიჯრით მერვე თამაში მოიგო. მერვეს ალბათ მეცხრეც მიჰყვება და მეათეც, მერე კი მსოფლიოს ბევრგზის ჩემპიონებს ბევრად უკეთეს გუნდთან მოუწევს დამტკიცება, რომ მის დაცვას უკეთესადაც შეუძლია თამაში, ვიდრე ეს ხორვატებთან მოახერხა...

ბრაზილიამ კაკას გოლით მოიგო და ეს გოლი პირველი ტაიმის ბოლოსწინა წუთზე გავიდა. მილანელს პასი მსოფლიოს ოთხი ჩემპიონატის მონაწილე და მათგან ორის მომგებმა მილანელმავე კაფუმ მისცა. კაკა კარიდან ოცდახუთიოდ მეტრში იყო, მაგრამ ეს არც ისე შორი მანძილია, თანაც მცველებს ბურთზე დაფარება თუ ავიწყდებათ. ერთი სიტყვით, ძალიან მაგარი გოლი გამოვიდა. პლეტიკოშას შანსი არ ჰქონდა. არადა, პლეტიკოშამ ორი ისეთი ბურთიც აიღო, აუღებელს რომ ეძახიან. გოლამდე რობერტო კარლოსის დარტყმული, მეორე ტაიმში კი რონალდინიოს თავური.

აიღო დიდამაც — კიდევ ერთმა მილანელმა — დადო პრსოსიც, მარკო ბაბიჩისაც და იერკო ლეკოსიც.

რონალდომ კი მეტისმეტად უფერულად ითამაშა და შეცვალეს. ხოლო „ბუდვაიზერმა“ მატჩში საუკეთესოდ კაკა აღიარა.

ისე, თუ უკვერდებით, ჩემპიონობის ფავორიტებად მიჩნეულ ნაკრებთა მწვრთნელების კომენტარები მეტისმეტად გვანან ერთმანეთს, ერთხმად ამტკიცებენ, პირველი თამაშის ფაქტორმა და მეტოქის სიჩაუქემ განაპირობეს ჩვენი არასაჩემპიონო თამაშიო.

ახლა მოვუსმინოთ, რა თქვა კარლოს ალბერტო პარეირამ, ბრაზილიელთა მწვრთნელმა: „საქმე მხოლოდ პირველ თამაშში არ არის. ხორვატიამ დიდი მონდომებით და ძალიან ენერგიულად ითამაშა. მათთვის საკუთარი რიტმის თავზე მოხვევა გაგვიჭირდა. თუმცა კარში მათზე მეტჯერ დავარტყით.“

მატჩის ფიფასეულ, ოფიციალურ მიმოხილვაში კი ვკითხულობთ, ბრაზილიამ საფინალო სასტვენამდე ჯერ მოახერხა შვებით ამოსუნთქვაო.

პარეირას ნახსენებ მეტ დარტყმაზე ხორვატთა მწვრთნელმა ზლატკო კრანჩარმა უპასუხა, ბრაზილიას ერთი შანსი ჰქონდა და ისიც გამოიყენა, ჩვენ კი ეს წაგება ჯგუფიდან გასვლის შანსს სულაც არ გვიკარგავსო.

ხოლო ბრაზილიის კაპიტანმა კაფუმ, რომლის ორგზის ჩემპიონობაც ზემოთ ვახსენეთ, თქვა: „თამაშის წინ ბიჭებს ვუთხარი, რომ ჩემპიონობამდე შვიდი ნაბიჯი გვაშორებდა. ახლა ვეტყვი, რომ ექვსი ნაბიჯი დაგვრჩა.“

გიორგი დარჯანია

ავსტრალია	1	1	0	0	3:1	3
ბრაზილია	1	1	0	0	1:0	3
ხორვატია	1	0	0	1	0:1	0
იაპონია	1	0	0	1	1:3	0

ბრაზილია 1:0 ხორვატია

№11. 13 ივნისი. 23.00. ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი“. 72 000 მაყურებელი

1:0 კაკა (44)



შეცვლა: ნ. კოვაჩი – 16. ჟ. ლეკო (41), კლასნიჩი – 18. ოლიჩი (57), რონალდო – 23. რობინიო (69)

გაფრთხილება: ნ. კოვაჩი (32), ემერსონი (42), რ. კოვაჩი (67), ტუდორი (90)

მსაჯები: ბენიტო არჩუნდია; ხოსე რამირესი (მექსიკა), ექტორ ვერგარა (კანადა)

20	კარიმა	20
5	კუთხური	7
13	კარისკენ დარტყმა	9
6	კარში დარტყმა	3
3	თამაშგარე	4

კორეა 2:1 ტოგო

№14, 13 ივნისი, 17.00. ფრანკფურტი. „პალდშტადიონი". 48 000 მაყურებელი

0:1 კადერი (31), 1:1 ჩ. ლი (54), 2:1 ანი (72)



შეცვლა: ჯ. ჯიმი – 9. ანი (46), სენაია – 23. ა. ტურე (55), ასემოასა – 13. ფორსონი (62), ე. ლი – 5. ნ. ჯიმი (68), ჯ. ჩო – 18. ს. ჯიმი (83), სალიფუ – 6. აზიავონუ (86)

გაფრთხილება: აბალო (23), რომაო (24), ი. ჯიმი (41), ჩ. ლი (51), აბალო (53), ჩანგაი (90)

გაძევება: აბალო (53)

მსაჯები: გრემ ჰოლი; ფილიპ შარპი, გლენ ტურნერი (ინგლისი)

16	ჯარიმა	17
3	კუთხური	4
16	ჯარის ჯენ დარტყმა	9
6	ჯარში დარტყმა	3
2	თამაშგარე	4

G ჯგუფი. I ტური

ნაადრევი ფინალი

ეს ის კორეაა, მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე ნახევარფინალში რომ გავიდა? — ამას ალბათ, ბევრი გაიფიქრებდა გუშინდელი მატჩის პირველი ტაიმის ყურებისას. როგორ გავიდა კორეა მაშინ, ცალკე საკითხავია და თანაც მას შემდეგ ოთხი წელი მიილია, თანაც მუნდიალი კორეა-იაპონიაში აღარაა, თანაც გუს ჰიდინკი ახლა ავსტრალიას წვრთნის...

მოკლედ, კორეა — ტოგო ყველაზე უღიმღამო თამაში იყო ამ მუნდიალზე, პირველი ტაიმი ხომ მტრისას... კიდევ კარგი, ყვითელ და ჭრელაჭრულა ტანსაცმელებში გამოწყობილი ჩასუქებული ტოგოელი ფანები დავინახეთ, თორემ მინდორზე ფეხბურთის პატარა ნაგლეჯი აქა-იქ თუ გაიელვებდა ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ მუნდიალს მიღმა სენეგალი დატოვა, ტოგოსგან სასწაულს არც ელოდნენ, არსენალელი ემანუელ ადებაიორიც უაზროდ დააქანავებდა გრძელ ფეხებს...

31-ე წუთზე აფრიკელთა ფორვარდმა მოჰამედ კადერმა გამოაფხიზლა თამაში: ორ მცველს შუა მკერდზე გაიჩერა ბურთი და ძელასხლეტით შეაგდო კარში — 0:1. სამ წუთში უკვე, ჟუნიორ სენაიას საჯარიმოს ხელებით წასწვდა კორეელთა მეკარე და აზიელები მეორე გოლს გადარჩნენ.

დიკ ადვოკაატმა კი შესვენებაზე გასაკეთებელი გააკეთა, წინა მუნდიალზე იტალიის მკვლელი იუნგ ჰვან ანი გამოიყვანა და მანაც რიგორ გაამართლა — 72-ე წუთზე ტყვიასავით გაისროლა შორიდან და გადამწყვეტი გოლი შეაგდო.

ამ დროს ტოგო უკვე კაცნაკლული თამაშობდა, რადგან ჟან კლოდ აბალომ მეკარესთან პირისპირ გასულ ჩუნ სუ ლის ერთი თოფი არ ესროლა, თორემ... ტოგომ ორმაგი დარტყმა მიიღო წუთში თან აბალოს გაძევება და თან, საჯარიმოდან ჩუნ სუ ლიმ ცხრიანში შეუჭედა ბურთი — ასე გათანაბრდა ანგარიში 54-ე წუთზე.

მთლიანობაში მეორე ტაიმს არა უშავდა, თამაში გაიხსნა და კლასისა რა მოგახსენოთ, ხალისმა კი იმატა. ტოტენჰემელმა მარცხენა მცველმა იონგ პიო ლიმ მილად აიწყვიტა, ერთხელ კინაღამ პენალტიც გამოიმუშავა და იუნგ ჰვან ანთან ერთად ნაღდად საუკეთესო იყო მინდორზე.

სხვა რა, ტოგო ჯგუფში ქულის ამღები არ ჩანს, კორეამ კი რაღაც უნდა მოიფიქროს, თორემ შვეიცარია და მით უმეტეს, საფრანგეთი სახუმაროდ ნაღდად არ არიან გერმანიაში ჩასულები.

ილია ნანოგაშვილი

კორეა	1	1	0	0	2:1	3
შვეიცარია	1	0	1	0	0:0	1
საფრანგეთი	1	0	1	0	0:0	1
ტოგო	1	0	0	1	1:2	0

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

და ღამ-ღამის ტელეფონებისთვის.

GEO ჯეო

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006

და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე

და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეთანხმება ჯეოსელის

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

G ჯგუფი. I ტური

ბარტეზი გიგაქსს გადაურჩა

საფრანგეთი 0:0 შვეიცარია

№13. 13 ივნისი. 20.00. შტუტგარტი. „გოტლიბ დაიმლერ შტადიონი". 52 000 ყაყურებელი



შეცვლა: შტრელერი – 10. გიგაქსი (56), რიბერი – 14. საა (70), მიულერი – 2. ჯირუ (75), ვიჯი – 5. მარგარიაცი (82), ვილტორდი – 8. დორასო (84)

გაფრთხილება: მანინი (42), შტრელერი (45), დეგენი (56), აბიდალი (64), კაბანასი (72), ზიდანი (72), სანიოლი (90), ფრეი (90)

მსაჯები: ვალენტინ ივანოვი; ნიკოლაი გოლუბევი, ევგენი ვოლნინი (რუსეთი)

18	ჯარიმა	18
4	კუთხური	1
9	ჯარისკენ დარტყმა	7
3	ჯარში დარტყმა	4
5	თამაშგარე	0

დეჭა-ვოე, მუსიე დომენეკ!

პოეტი ივანოვი: ძეგლი აქვიგე ხელთუქმნელი – ყვითელი ზიდანს

რუსი მსაჯი ვალენტინ ივანოვი ალბათ ის პოეტია, რომელსაც თანამედროვენი ვერ აფასებენ და საბრალოს, იცის რა თავისი ნამდვილი შესაძლებლობანი, საკადრისი სახელის მოსაპოვებლად რა აღარ უწევს. საიდან ვიცით? იქიდან, რომ გუშინ შტუტგარტის „გოტლიბ დაიმლერ შტადიონზე" ფრანგებისა და შვეიცარიელების შეხვედრაში ამ პატიოსანმა კაცმა „ნეიტრალურთა" საჯარიმოში ისეთი ხელით თამაში ვერ შეამჩნია, მხოლოდ სამყაროს უსასრულობასა და მასთან კომბინაციაში ცხოვრების ამაოებაზე ჩაფიქრებულ მგოსანს რომ შეიძლებოდა ვერ შეენიშნა. და ყვითლები? ყვითლებს აღარ იკითხავთ? გასპაძინ ივანოვმა შტუტგარტის 27-გრადუსიანი საღამო რამდენიმე გრადუსით პირადად გააცხელა, როდესაც მარჯვნივ და მარცხნივ რვა ყვითელი ბარათი ამოიღო — სამი ლურჯებს, ხუთიც შვეიცარიელებს. გამოგიტყდებით და, ამ ბარათების კარგა დიდი ნაწილი ერთი შეხედვით გაუგებარი მიზეზით გახლდათ ნაჩვენები, მაგრამ ეს მათთვის, ვინც პოეზიაში ვერ ერკვევა, ხოლო ჩვენ, ვინც ყველაფერი ვიცით, იმასაც ვხვდებით, რომ ივანოვი ასე თავისი ნიჭის აღიარებისთვის იბრძვის. აბა, მითხარით, რომელ თქვენგანს ამოუღია ზიდანისთვის ყვითელი? ივანოვს კი ამოუღია!

მაგრამ, მოდი, დავანებოთ თავი მგოსანს და ღრუბლებიდან მიწაზე დავეზღერთოთ, ამაში კი საფრანგეთის ნაკრები დაგვეხმარება. თუმცა... საოცარია, თურმე შეიძლება, გააჩერო დრო და ამას უნიჭობით მიაღწიო. დიახ, ის, რაც გუშინ ვნახეთ, გუშინდელი არ იყო, ეს გახლდათ ზუსტად ოთხი წლის წინანდელი რამ — რა დაგვავიწყებს 2002-ის საფრანგეთს სენეგალის, დანიისა და ურუგვაის ჯგუფში. ეს იყო გუნდი, რომელმაც გოლი ვერ გაიტანა, მეტიც, შეტევა ვერ წამოიწყო, მომენტი ვერ შექმნა და, ინებეთ, იგივე ვიხილეთ წუხელაც. რაიმონ დომენეკის გუნდის თამაში აწყობილი გახლდათ ერთადერთ პრინციპზე, უფრო კი, სურვილზე, ბურთი მიეღო 34 წლის ზინედინ ზიდანს, არ დაეკარგა, შემდეგ თავისივე თავისთვის პასი გადაეწოდებინა, იქ, წინ ეს პასი მიეღო და გოლი შეეგდო. დიდება შენდა, დომენეკ! დიდება თქვენ, ფრანგო მოთამაშეებო!

თუმცა, ნუ ვიქნებით ზედმეტად მკაცრნი. წინ კიდევ არის ორი მატჩი ანუ ლურჯების ქომაგთა იმედი, რომ ყველაფერი გამოსწორდება, შავ-ლურჯი ბიჭები მეტოქის კარისკენ გაიქცევიან და ფეხბურთი ერთი კაცის თამაშად აღარ ექნებათ წარმოდგენილი.

მოკლედ, „ალე ა ფინალ", ფრანგებო, ოღონდ რატომ ტრეზეგეს გარეშე? ვითომ სილვენ ვილტორის უფერული სირბილი და ლუი საას მორიდებული ჩართვა მოგვიანებით იუვენტუსელის შეტევებს სჯობს? მერედა, კადრში ხშირად ჩანდა, როგორ განიცდიდა საბრალო ტრეზეგე თანაგუნდელთა ყოველ გაცუდებულ შეტევას. მარტო ამ ნერვიულობისთვის ღირდა მისი დასაჩუქრება 20-წუთიანი ფეხბურთით მაინც, მაგრამ, ცხადია, დომენეკს ეს ყველაფერი ჩვენზე გაცილებით ღრმად აქვს გააზრებული და ამ ყველაფერს დასაბუთებული მიზეზიც ჰქონდა და მომავალში ასეთივე შედეგი გამოუჩნდება.

შვეიცარიაზე კი ასე დიდ ყურადღებას იმიტომ არ ვაჩერებთ, რომ თავისი არსით, აურით და პრეტენზიით ნაკლებად საინტერესო გუნდი გვგონია. და მაინც, ის ამ თამაშში მონაწილეობდა, საფრანგეთს ტოლი არ დაუდო — რაც ბოლო დროს ტრადიციად დამკვიდრდა კიდეც — და საგოლე მომენტებიც შექმნა.

ამ მომენტებიდან საგანგებოდ ორს აღვნიშნავთ. პირველს პირველი ტაიმისას, როდესაც ალექსანდერ ფრეიმ შორიდან ჩაკიდებული ბურთი ზედ კარის წინიდან ჯერ ძელს გაარტყა, შემდეგ კი მოქნილობა არ ეყო, ჩამოვარდნილს რომ დაუფლებოდა და ერიკ აბიდალმა ფეხი გაუკრა. მეორე მომენტი კი მეორე ტაიმში იყო, როდესაც დანიელ გიგაქსის მოუხერხებელი თავური ფაბიენ ბარტეზმა ახლო კუთხეში დაიჭირა.

სულ ბოლო მომენტი კი ჰქონდათ ფრანგებს: ზიდანის გრძელი პასი, საას თავური დაგდება და შეცვლაზე ახალშესული ვიკაშ დორასოს დარტყმული შორეულ კუთხეში, სულ ცოტათი რომ აცდა მიზანს.

მატჩის შემდეგ რაიმონ დომენეკმა საფრანგეთის ტელევიზიას განუცხადა:

„რაღაც მსაჯი ფორიაქობდა მეტისმეტად. მის გადაწყვეტილებებს ყოველთვის ვერ ვხვდებოდი. ეტყობა, მსაჯობის ახალი სტილია. რა გაეწყობა, რაც მოხდა, მოხდა. საბოლოოდ თამაში ფრედ დასრულდა და მასში იყო კარგი მომენტებიც, მაგრამ ფაქტია, რომ ამით დაკმაყოფილებას არ ვაპირებთ. წინ კიდევ არის მატჩები, ხოლო ჯგუფში უმთავრეს კონკურენტს ორი ქულა დავაკარგვინეთ".

შვეიცარიელთა თავკაცი კობი ჯონი: „თამაში საფრანგეთის ნაკრების კარნახით მიდიოდა, ჩვენ კი შეცდომები დავუშვით და ამიტომ ფრემ გაგვახარა. შტუტგარტს თავჩაქინდრულნი არ ვტოვებთ".

პაპუნა კედია

ივანოვისგან დაჩაგრულმა ტიერი ანრიმ ღმერთს შეჰღაღადა: პენალტი იყო

AFP შტუტგარტიდან

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

დღეს. H ჯგუფი. I ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავილების ქვეყანა

არაგონესმა გერმანელებისგან ფარშევანგი გაიპარა

როცა გერმანიაში ესპანეთის ნაკრები ჩავიდა, კასტილიელთა მხცოვან მწვრთნელ ლუის არაგონესს მასპინძლებმა საპატივცემულოდ დიდი თაიგული მიართვეს, რომელშიც ოქროსფერი სჭარბობდა, დონ არაგონესს კი ყვითელი ჭირივით ეზიზღება, წაგების სიმბოლოდ მიიჩნევს... ბებერ ლუისს, დახვედრის შეცბუნებული ორგანიზატორები ამიტომაც გამოულანძღავს. „მან (არაგონესმა) ხელი აგვიკრა და გვითხრა, თაიგული ერთ ადგილას... ეს აღმაშფოთებელია“ — ჩიოდა „ბილდში“ მავანი გემანელი. ესპანეთის ეროვნული გუნდის მოთამაშეები კი სიცილით იხოცებოდნენ თურმე — „პაპას“ (არაგონესის მეტსახელია) ყვითელი არ უყვარს, ეს არ იცოდნენ... რა გაეწყობა, ამის შემდეგ ეცოდინებათ“ — უთხრა ესპანურ „მარკას“ კასტილელთა მცველმა სერხიო რამოსმა.

ყვითლის მოძულე სკანდალური მოხუცი (ადრე ტიერი ანრის შავი მაიმუნი უწოდა) მსოფლიოს ჩემპიონატზე უკრაინასთან პირველ თამაშში, მოედანზე ფერნანდო ტორესის, ლუის გარსიას და დავიდ ვილას მოიერიშე სამეულს გამოიყვანს. ესპანელთა ლეგენდა რაული მუხლმტკივანია და სლავებთან ჯახში სათადარიგოთა სკამზე იქნება. იმ შემადგენლობიდან, არაგონესს შესარჩევში და ამხანაგურ თამაშებში რომ გამოჰყავდა, მიჩელ სალგადო, ანტონიო ლოპესი, სერხი და რაული ამოვარდნენ. ხოლო ფერნანდო მორიენტესი მუნდიალზე საერთოდ არ წაიყვანა ჭირვეულმა მოხუცმა.

ესპანეთის მეტოქე უკრაინის ყველაზე მთავარი საწუხარი შევჩენკოა. „მილანიდან“ „ჩელსიში“ გადაბარგებულ „გოლების მანქანას“ მუხლი აწუხებს და მისი თამაშის ამბავიც ბოლო მომენტში გადაწყდება. „შევჩენკომ თუ ვერ იბურთავა, რა თქმა უნდა, ვიზარალებთ. თუმც ანდრეის მოედანზე არყოფნა კატასტროფაც არ იქნება, გერმანიამ ხომ კოსტა რიკას ბალაკის გარეშეც შშვენივრად მოუგო“ — განუცხადა ბლოხინმა ჟურნალისტებს. თუ „შევა“ მაინც ვერ გავიდა მოედანზე, უკრაინის თავდასხმაში სერგეი რებროვის გვერდით „შახტარის“ ალექსეი ბელიკი ითამაშებს.

დასასრულს, სტატისტიკაც გავიხსენოთ. უკრაინა მუნდიალზე პირველადაა, თუმცა შესარჩევის ევროპულ ზონაში ასევე პირველმა გაინადგა გერმანია 2006-ის საგზური. მსოფლიოს ჩემპიონატებზე ესპანეთის მოურჩენელი სენი მეოთხედფინალია — წინა 2002-ის ტურნირი ამ ეტაპიდან დატოვეს. ჯერ ჯერობით მსოფლიოს ჩემპიონატებზე კასტილიელთა მთავარი მიღწევა 1950 წლით თარიღდება. მაშინ „ფურია როხა“ ბრაზილიის მუნდიალზე მეოთხე ადგილზე გავიდა.

ლადო ხომერიკი

ესპანეთი — უკრაინა

ლაიპციგი. „ცენტრალშტადიონი“. 17.00

1. კასილიასი; 22. პაბლო, 15. სერხიო რამოსი, 5. პუიოლი, 3. პერნია; 16. სენა, 14. ხაბი ალონსო, 8. ხავი; 11. ლუის გარსია, 9. ფ. ტორესი, 21. ვილია მწვრთნელი: ლუის არაგონესი	1. შოვკოვსკი; 5. იეზერსკი, 17. ვაშჩუკი, 6. რუსოლი, 2. ნესმაჩნი; 14. გუსინი, 4. ტიმოშჩუკი, 8. შელაევი, 21. როტანი; 11. რებროვი, 20. ბელიკი მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

ტუნისი — საუდის არაბეთი

მიუნხენი. „ალიანს არენა“. 20.00

1. ბუმნიჟელი; 6. ტრაბელსი, 15. ჯაიდი, 3. ჰაგუი, 18. ჟემალი; 20. ნამუში, 12. მნარი, 14. ჩედლი, 13. ბუაზიზი; 5. ჯაზირი, 9. შიხაუი მწვრთნელი: როჟე ლემერი	1. ალ დეაია; 3. ტუკარი, 13. სულიმანი, 4. ალ მონტაშარი, 2. დოხი; 14. ალ ხარირი, 7. ამეენი, 8. ნოორი, 10. ალ შალჰუბი; 9. ალ ჯაბერი, 20. ალ კატანი მწვრთნელი: მარკოს პაკეტა

მსაჯი: მარკ შილდი (ავსტრალია)

ფრანგულ-ბრაზილიური გარჩევა არაბულ ენაზე

ტუნისის მწვრთნელ როჟე ლემერსაც და საუდის არაბეთის ნაკრებსაც ოთხი წლის წინადელი ამბავი მწარედ ახსოვთ. ლემერი 2002-ში საფრანგეთს თავკაცობდა და გახსნით მატჩში სენეგალთან 0:1 წაგებით მსოფლიო გააოცა. საუდელები კი გერმანიასთან პირველ შეხვედრაში 0:8 დამარცხდნენ. ცხადია, ლემერსაც და საუდის არაბეთსაც ამ ჩემპიონატის მოგებით დაწყება სურთ, მით უმეტეს, რომ ორივე ჯგუფის აუტსაიდერად ითვლება და მომდევნო მატჩებში ესპანეთთან და უკრაინასთან ფრთების გაშლა გაუჭირდებათ.

„ალბათ, უმძიმესი თამაში იქნება — თქვა ტუნისელმა ჰატემ ტრაბელსიმ — ეს ხომ არაბული დერბია. ვფიქრობ, შანსები თანაბარია. ჩვენ ზედიზედ მესამედ ვართ მსოფლიოს ჩემპიონატზე და ძალიან გვინდა, რომ ახლა მაინც შევძლოთ მერვედფინალში გასვლა“.

ტუნისელებს ტრავმის გამო მთავარმეგოლე ფრანსელინო დუშ სანტუში დაკლდებათ. მას ცხრამეტი წლის იასინ შიხაუი შეცვლის, ვისთვისაც ეს მეორე სანაკრებო მატჩი იქნება.

საუდეთის ნაკრების კაპიტანი ალ ჯაბერი, რომელსაც ეროვნულ გუნდში 160-ჯერ უთამაშია, მსუბუქად დაშავებული იყო, მაგრამ მომჯობინდა და დღეს, ალბათ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

საუდის არაბეთის ბრაზილიელი მწვრთნელი მარკოს პაკეტა: „არაბულ დერბიში მოგებას ვაპირებთ. ძნელი კი იქნება მაგრამ ჯგუფში მეორე ადგილის დაკავებაც გვსურს.“

„ჩვენი უმთავრესი მიზანი მერვედფინალში გასვლაა. ისევე როგორც ყველას, მეც მოგება მირჩევნია წაგებას, მაგრამ ზოგჯერ მარცხის შეემდეგ უფრო ძლიერდები — თქვა ოთხი წლის წინ შერცხვენილი საფრანგეთის ყოფილმა მწვრთნელმა — მე ჯადოქარი კი არა, მასწავლებელი ვარ. თუკი ჩემი ფეხბურთელები კარგად თამაშობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სურთ კარგად თამაში“.

მარკოს პაკეტას ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება უნდა, მაგრამ საეჭვოა, რომ საუდეთმა უკრაინას და ესპანეთს ქულები წაართვას, აღარაფერს ვამბობთ ტუნისზე, რომელსაც აშკარად მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს, ვიდრე პაკეტას. როჟე ლემერის ნაკრებს უფრო აქვს შანსი მერვედფინალში გასვლისა. დღეს არაბულ დერბიში თუ მოიგებს, მერე ესპანეთს და უკრაინას დაეჭიდება.

დუშ სანტუში ვერ ითამაშებს

თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ხელმძღვანელი ჭრილ. თამაზ თამაზაშვილი

უყურე ფეხბურთს ჩვენთან ერთად
და შედეგით კმაყოფილი დარჩები

• უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
• გარანტირებული შედეგები

HAIRLINE International

ჰეალაინ ინტერნეიშნლ
თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი

ქავთარაძის 16 (სამკურნალო ტომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

www.hairline.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

დღეს. A ჯგუფი. II ტური



გოჩა-ხვიჩობა დორტმუნდში

გერმანია — პოლონეთი

დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი“. 23.00

1. ლემანი; 3. ფრიდრიხი, 21. მეცელდერი, 17. მერტესაკერი, 16. ლამი; 18. შნაიდერი, 8. ფრინგსი, 13. ბალაკი, 7. შვაინშტაიგერი; 11. კლოზე, 20. პოდოლსკი მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი	1. ბორუცი; 6. ბაკი, 2. იოპი, 14. ჟევლაკოვი, 4. ბაშჩინსკი; 8. კრჟინოვეკი, 21. იელენი, 10. შიმკოვიაკი, 7. სობოლევსკი; 15. შმოლარეკი, 9. ჟურავსკი მწვრთნელი: პაველ იანაში

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

დღეს საღამოს პოლონეთი შეიძლება, მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთხოვოს, უფრო სწორად კი დარჩენილი მესამე თამაში სრულ ფორმალობად ექცეს. მიზეზი: გერმანიას ხვდება და მეტად საეჭვოა გაგერმანელებულ თანამემამულეებს მიროსლავ კლოზესა და ლუკაშ პოდოლსკის გაუძლოს. გაგერმანელებაში სულაც არ იგულისხმება ფესვები. ერთიცა და მეორეც პოლონეთში არიან დაბადებულნი.

აი, ასეთი გოჩა-ხვიჩობა თუ ცოდვის ტრიალია მოსალოდნელი დღეს დორტმუნდში.

„რვაწლინახევრისა გახლდით გერმანიაში რომ გადმოვსახლდით. მაშინ ჩემთვის ფეხბურთი ყველაფერი იყო — თქვა 28 წლის კლოზემ პრეს-კონფერენციაზე — სწორედ ფეხბურთის წყალობით შევეთვისე გერმანიას. ბიჭები არჩევანი-არადანის დროს პირველს მე ამიყვანდნენ ხოლმე, ვინაიდან ყველას ვჯობდი და ასე გავიჩინე გერმიანელი მეგობრები. პოლონეთში კი ხშირად ჩავდივარ, რადგან იქ ჩემი დეიდა და ბიძა ცხოვრობენ“.

იურგენ კლინსმანი: „ძალიან ბედნიერი ვარ ეს ორი ფეხბურთელი ჩემს განკარგულებაში რომ არის. საინტერესოა, რომ მათთვის ეს თამაში ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება, რადგან მოედანზეც კი ისინი ერთმანეთს პოლონურად ელაპარაკებიან“.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრებმა პირველ შეხვედრაში 4:2 მოუგო კოსტა რიკას, პოლონეთმა კი ეკვადორთან 0:2 იწვნია.

და რას ამბობს სტატისტიკა? პოლონეთისთვის კარგს არაფერს. 85 წლიან ისტორიაში ამ ქვეყნის ნაკრებს გერმანია არ დაუმარცხებია და ამის გაკეთება განსაკუთრებით „ვესტფალენშტადიონზე“ გაუჭირდება, სადაც ბუნდესნაკრებს 13 თამაშია მარცხი არ უწვნევია.

ბოლოს, გერმანია პოლონეთს 1974 წელს შეხვდა — მაშინაც მუნდიალი გერმანიაში მიმდინარეობდა — ეს გახლდათ ნახევარფინალი, რომელიც მასპინძლებმა 1:0 მოიგეს.

ყველაფერს დაამატეთ ის, რომ გერმანიის ნაკრებს კაპიტანი მიხაელ ბალაკი უბრუნდება. მოგეხსენებათ, ის პირველ შეხვედრაში ტრავმის გამო არ იყო. ბალაკს ადგილს ტიმ ბოროვსკი დაუმობს. ამბობენ, რომ კლინსმანი დაცვასაც გადაასხვაფერებს, რადგან გერმანელთა უკანა ხაზმა კოსტა რიკელებთან შეხვედრაში შეცდომები დაუშვა.

სტადიონზე, რომელსაც კარგად იცნობს, ითამაშებს „დორტმუნდის“ ფეხბურთელი პოლონელი ები შმოლარეკი.

ის ამბობს: „სინამდვილეში, შემდეგ ეტაპზე გასვლა ძნელი სულ არ არის. ამისათვის საჭიროა გერმანიას მოვუგოთ და მეტი არაფერი. ვინ თქვა, რომ გერმანია დაუმარცხებელია? დიახ, ბალაკი გააძლიერებს, მაგრამ მერე რა...“.

პაპუნა კედია

გერმანია	1	1	0	0	4:2	3
ეკვადორი	1	1	0	0	2:0	3
კოსტა რიკა	1	0	0	1	2:4	0
პოლონეთი	1	0	0	1	0:2	0

ლიპის კონვერტში ჩადებული ლიპი მოპარეს



ქურდობის მსხვერპლი გახდა ორშაბათ საღამოს, იტალიის ნაკრების მწვრთნელ მარჩელო ლიპის ვაჟი. დავიდე ლიპის იტალია — განას მატჩის ბილეთები აწაპნეს.

აღმოჩნდა, რომ 28 წლის იტალიელს კონვერტში ჩადებული ორი ბილეთი სასტუმროს ჰოლში დაუდევრად მიუგდია მაგიდაზე. წამის მერე კონვერტი ვიღაც მარჯვემ მოიხელთა და გაწბილებულ ლიპისაც ისღა დარჩენოდა, „სკუადრა აძურას“ თამაშის საცქერად ტელევიზორთან მოკალათებულიყო... თუმც უმცროსი ლიპი და მისი ძმაკაცი მაინც მოხვდნენ სტადიონზე — გერმანიის მუნდიალის ორგანიზატორებმა დავიდეს ბილეთები საგანგებო ფონდიდან გამოუყვეს.

მაგ სიგარეტს გადაგაყლაპებთ



მექსიკის ნაკრების მწვრთნელ რიკარდო ლავოლპეს სიტყვიერი გაფრთხილება მისცეს და დასჯით დაემუქრნენ. საქმე ის არის, რომ არგენტინელმა ირანთან მატჩისას სიგარეტი მოწია, გაბოლება კი ფიფასგან აკრძალულია.

„ვიდეოგამეორება ვნახეთ და ფაქტია, რომ ლავოლპე სიგარეტს ეწეოდა. მექსიკის ფეხბურთის ფედერაციას ოფიციალურ წერილს გავუგზავნით, რათა ზომები მიიღოს. სათადარიგოთა სკამზე მოწევის უფლება მწვრთნელებს არ აქვთ.“ — თქვა ფიფას წარმომადგენელმა მარკუს სიგლერმა.

მარტო მწვრთნელებს კი არა, ფიფა სტადიონზე მისულ ქომაგებსაც უკრძალავს მოწევას. ლავოლპეს კი, მით უმეტეს, მატჩების მსვლელობისას, უსიგარეტოდ იშვიათად ნახავს კაცი. თუმცა ახლა მას თავის შეკავება მოუწევს.

კოკი კანდელაკი

ჯორჯეტიმ ჯგუფური დაამთავრა

მექსიკის ნაკრებს ირანთან გამარჯვება ერთ-ერთი ლიდერის, ხარედ ბორგეტის ტრავმით ჩაუმწარდა. 32 წლის თავდამსხმელი აზიელებთან მატჩში მეორე ტაიმის დებიუტში შესაცვლელი შეიქნა, მან მარცხენა ფეხი დაიშავა. როგორც გაირკვა, ტრავმა საკმაოდ სერიოზულია და ბორგეტი, ალბათ, ჯგუფში დარჩენილ ორივე შეხვედრას გამოტოვებს.

„სამწუხაროდ, სერიოზულ ტრავმას ჰგავს. უფრო დეტალურად, დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ ვისაუბრებთ, თუმცა მეეჭვება ხარედმა 7-10 დღე მინდორზე გასვლა შეძლოს“ — თქვა მექსიკელთა ექიმმა ხოსე ლუის სერანომ.

კოკი კანდელაკი

იან კოლერი არასერიოზულია

ჩეხეთის ნაკრების ბანაკში, აშშ-სთან მოგებული მატჩის შემდეგ, ზეიმის ორი მიზეზი იყო. პირველი თავად გამარჯვება და მეორე ის, რომ იან კოლერის ტრავმა არც ისეთი სერიოზული გამოდგა, როგორც თავიდან ჩანდა. არადა, ჩეხთა თავკაც კარელ ბრიუკნერს აყლაყუდა ფორვარდი უკვე „გამოტირებული“ ჰყავდა.

„ვადასტურებ, რომ გამოკვლევებმა, საბედნიეროდ, სერიოზული დაზიანება არ აჩვენა. ტრავმა ისეთი მძიმე არ გამოდგა, როგორც ვვარაუდობდით. უახლოეს დღეებში ზუსტად ვიტყვით, როდის დაუბრუნდება იანი მინდორს“ — თქვა ჩეხთა ექიმმა.

ფრანგულ „მონაკოში“ ახლახან გადასული კოლერი განასთან მატჩს, ალბათ, გამოტოვებს. ჯგუფის მესამე და ყველაზე მნიშვნელოვან თამაშში იტალისთან კი ეგებ მოედანზე ვიხილოთ.

იან კოლერი: „ოთხი დღე დავისვენებ და მჯერა, იტალიასთან მატჩისთვის მზად ვიქნები. მუნდიალი კარგად დავიწყეთ, მაგრამ მთავარია, ყურადღება არ მოვადუნოთ და ასევე გავაგრძელოთ“.

კოკი კანდელაკი

ჩართული სკამი და გადართული ბუფონი

იტალიელთა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ფაბიო გროსოს განელებთან თამაში დაუწუნა და ისიც განმარტა, თუ რატომ დააყენა შემადგენლობაში სიმონე პეროტა.

„თამაში ზუსტად ისე წავიდა, როგორც ველოდით. ვიცოდით, რომ განას მოედნის შუაში უპირატესობა ჰქონდა და ეს უპირატესობა უნდა გაგვებათილებინა. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჩვენმა ნახევარმცველებმა განელებს კარისკენ მიმავალი ყოველგვარი გზები გადაუკეტეს“

ტოტის ტრავმაზე: „ტოტის მირტყმული ადგილი დაულილავდა და მეტი არაფერი მოსვლია. შეტაკების წინ ისედაც ვაპირებდი მის გამოცვლას ასე, რომ იმ ეპიზოდში მისი მოცელვა და ჩემი გადაწყვეტილება უბრალოდ დაემთხვა. საერთოდ, მიყვარს ყოველი თამაშის ერთით მეტი ნახევარმცველით დამთავრება“.

პეროტას შესახებ: „პეროტას ვარიანტზე ორი-სამი დღე ვიფიქრე და მას მერე, რაც ვარჯიშზე თავი მოიმაწონა, გადავწყვიტე მეთამაშებინა“.

ფაბიო გროსო

ჯანლუიჯი ბუფონი

გროსოს ამბავი: „კრისტიან ძაკარდოს დაცვაზე მეტი ყურადღების გამახვილება ვთხოვე, რასაც გროსოსთვის შეტევაში ხშირი მონაწილეობის საშუალება უნდა მიეცა, მაგრამ ის განელების შეტევების მოსაგერიებლად უკან რომ ჩამოდიოდა, წინ წასულას ველარ ახერხებდა. საბოლოოდ კი მაინც ყველამ კარგად ითამაშა და განსაკუთრებით მომეწონა როგორ იყო ჩართული მოვლენებში „ჩამდარიგოთა სკამი“.

ჯანლუიჯი ბუფონმა კი შვებით ამოისუნთქა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გადართვა და ამ პროკურორებისგან თავის დაღწევა რა სიამოვნება ყოფილაო. მოგეხსენებათ, „იუვეს“ მეკარეს ტოტალიზატორში თამაშს აბრალებენ.

„მთელი ყურადღება ამ გამოძიებას მიჰქონდა. კიდევ კარგი, მსოფლიოს ჩემპიონატმა შვება მოგვგვარა. მერედა, განასთან ისე ვითამაშეთ, რომ უკმაყოფილო არც ერთი ჩვენთაგანი არ დარჩენილა, ასე, რომ ენთუზიაზმი და საბრძოლო სულისკვეთება კიდევ უფრო გაგვაძლიერდა. თავს თანამოაზრეებად ვგრძნობთ. დიდი მადლობა ქომაგებს, რომელთაც ბოლომდე დაგვიჭირეს მხარი. ჩვენ საშობლოსთვის ვიბრძოლეთ და გავიმარჯვეთ“.

პაპუნა კედია

ციფრების საჩემპიონო რახარუხი

მსოფლიოს ჩემპიონი გერმანია გახდება. არ გჯერათ? აი, თუ არა: 54X74=3996-1990=2006. თქვენ კი არ გჯეროდათ!

მათთვის ვინც ვერ გაიგო: 1954, 1974 და 1990 გერმანელების ჩემპიონობის წლებია.

არსებობს სხვა თეორიაც, რომლის მიხედვითაც 1962 წლის მერე დამკვიდრებული, სამხრეთ ამერიკა—ევროპა—სამხრეთ ამერიკა, მონაცვლეობა ახლა ევროპის ჯერზე მიგვითითებს.

მაგრამ არის კიდევ ერთი გრაფიკიც და ბარემ მასაც შემოგთავაზებთ. ამ გრაფიკში ათვლა 1958 წლიდან იწყება, შუა წერტილი 1982 წელია და მერე... თუმცა თავად განსაჯეთ:

1958 ბრაზილია
1962 ბრაზილია
1966 ინგლისი
1970 ბრაზილია
1974 გერმანია
1978 არგენტინა
1982 იტალია
1986 არგენტინა
1990 გერმანია
1994 ბრაზილია
1998 საფრანგეთი
2002 ბრაზილია
2006 ბრაზილია?

თან, დახეთ, სიმეტრიაში რაიმე უხერხულობა და კითხვის ნიშანი რომ არ ყოფილიყო, 1966 და 1998 წლებში ჩემპიონები გახდნენ ის გუნდები, რომლებიც შინ თამაშობდნენ და თან პირველად ავიდნენ საფეხბურთო მწვერვალზე. დაცულია ამერიკა ევროპის მონაცვლეობაც.

მყეს-გულდაწყვეტილი

სერბეთის ნაკრების მცველი ნემანია ვიდიჩი ჭეშმარიტად უიღბლო კაცი აღმოჩნდა. 12 ივნისს სლავმა ეროვნული გუნდის ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და მუნდიალსაც დაემშვიდობა და ეს მაშინ, როცა ნემანიას ჰოლანდიასთან პირველი თამაში სანქციის გამო გამოატოვებინეს — შესრჩევში წითელი ბარათი ჰქონდა აკიდებული...

პეტკოვიჩის შეგირდს მარცხენა ფეხზე მყესები გაუწყდა და მის გამოჯანმრთელებას რამდენიმე კვირა დასჭირდება. „ფინალშიც რომ გავიდეთ, ვიდიჩი მორჩენას მაინც ვერ მოასწრებს. მისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულებულია“ — უთხრა ჟურნალისტებს სერბთა ნაკრების პრესმდივანმა ალექსანდრ ბოშკოვიჩმა. ასე რომ, სამხრეთელ სლავებს არგენტინასა და კოტ დივუართან ომი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველის გარეშე მოუწევთ.

ლადო ხომერიკი

რვაფეხას პირველი სერია დასრულდა

ფრანჩესკო ბორელი

ნეაპოლის პროკურატურამ მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალის გამოძიების პირველი ნაწილი დასრულებულად გამოაცხადა ანუ გამომძიებლები უკვე მივიდნენ კონკრეტულ დასკვნებამდე და განაჩენს უახლოეს მომავალში გავიგებთ.

შეგახსენებთ, რომ პროკურატურა იძიებდა 41 ადამიანის საქმიანობას, რომლებსაც ამ სკანდალთან კავშირი ჰქონდათ. ამათგან ყველაზე ცნობილი ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილი ვენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი და ცნობილი მსაჯი მასიმო დე სანტისი გახლავთ, რომელიც ამ ამბის გამო მუნდიალიდან მოკვეთეს.

რაც შეეხება უშუალოდ კლუბებსა და მათ დასჯას, ეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უნდა ითავოს, რომელიც ცალკე გამოძიებას აწარმოებს და მისი დასრულება ივნისის ბოლოსთვისაა მოსალოდნელი. ამჟამად, საუბრობენ ხუთი გუნდის შგავნელ საქმეებზე — „იუვენტუსი“, „მილანი“, „ლაციო“, „ფიორენტინა“ და „სამპდორია“, თუმცა ბოლო ორი ნაკლებად გასვრილი ჩანს.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გამოძიებას სათავეში, კორუფციასთან ცნობილი მებრძოლი ფრანჩესკო ბორელი უდგას. განაჩენს კი გაფაციცებით ელოდება ის თორმეტი მოთამაშე, რომლებიც „იუვენტუსის“, „ლაციოსა“ და „მილანის“ რიგებში არიან და ახლა მუნდიალზე „სკუადრა აძურას“ ღირსებას იცავენ.

კოკი კანდელაკი

თუთუმლუმ პოულსენი უეფას თასს მიაბა

დანიელი კრისტიან პოულსენი ამიერიდან „სევილიაში“ ითამაშებს. — „შალკეს“ ექსნახევარმცველმა ანდალუზიურ კლუბთანს სამი სეზონით გააფორმა ხელშეკრულება.

„მოხარული ვარ, რომ კარიერას „სევილიაში“ გავაგრძელებ. გუნდმა ახლახან უეფას თასი მოიგო, თან ესპანური პრიმერადივიზიონიც მომწონს“ — აღნიშნა პოულსენმა.

დანიელი ახლა 26 წლისაა, 182 სანტიმეტრი სიმაღლისაა და წინა ბუნდესლიგურ სეზონში ერთი გოლი გაუტანია. თითქოს პოულსენი უფრო „ვილიარეალში“ უნდა გადასულიყო, თუმცა ანდალუზიელებმა იაქტიურეს და დანიელის აგენტმა ბაირამ თუთუმლუმაც „სევილიასთან“ არჩია კონტრაქტის გაფორმება.

„სანჩეს პისხუანზე“ კრისტინ პოულსენის გადასვლა „სევილიადან“ ხორდი ლოპესის წასვლას ნიშნავს. ლოპესი, სავარაუდოდ, გალისიურ „დეპორტივოს“ მიაკითხავს.

ლადო ხომერიკი

გიო ახვლედიანის სვეტეული

2-2-2 2-2

არის ასეთი წიგნი: „ფუტბოლ — ბრაზილიური ცხოვრების გზა“. ის ინგლისელმა ალექს ბელოსმა დაწერა,. კაი სქელი წიგნია. ამხანაგმა და ბრაზილიის დიდმა გულშემატკივარმა გამომიგზავნა შორი ქვეყნიდან.

იმდენად საინტერესო წიგნი გახლავს, რომ სანამ ის არ წამეკითხა, კი ვიცოდი რაღაცეები, მაგრამ ასე, ერთი წინადადებით: ბრაზილიაში ფეხბურთი რელიგიაა. ჰოდა, იქ ტაბილადაა მოთხრობილი, თუ რატომაა რელეგია: როგორ შობს სიღარიბე, ცხოვრების უპერსპექტივობა, ქვიშა და ჭინჭის ბურთი თამაშის გენიოსებს.

სანამ ჩვენს საკაბელო არხებზე „ენტეე ფუტბოლი“ არსებობდა, იქ ბრაზილიის სამ ჩემპიონატს აჩვენებდნენ ხოლმე და ძალიანაც მომწონდა: სულ განსხვავებული რამ არის იმისგან, რის ცქერასაც მივეჩვიეთ, სხვა რამეა და მორჩა. ამის აღწერას ახლა აზრი არა აქვს. იმდენად ჯადოსნურობას და რაღაცნაირ სილამაზეს კი არ ვგულისხმობ, არამედ, უბრალოდ, სხვა რაღაცას. ძალიან საინტერესოს და მოულოდნელს. ბრაზილიის ნაკრები, რა თქმა უნდა, ჰგავს ბრაზილიურ კლუბებს, ოღონდაც, უფრო სან პაულუს კლუბებს. მითუმეტეს, ახლა, როცა მწვრთნელად კარლოს ალბერტო პარეირაა.

იმიტომ, რომ პაულისტა ფუტბოლი და კარიოკა ფუტბოლი (ეს რიოს ფეხბურთია), ვითარცა იტყოდნენ ქალაქ ადესაში, ორი დიდი სხვაობაა. საერთოდ, საინტერესო იქნება, ამ ნაკრებში წარმომავლობით პაულისტა რიო და კარიოკა ფეხბურთელების დათვლა. მე არ დამითვლია და ჩემპიონატის მიმდინარეობის კვალად აუცილებლად დავითვლი.

მოკლედ რომ ვთქვათ, პაულისტა არის წესრიგი, რაციონალიზმი, ბრძოლა, მიზანი. კარიოკა კი არის კარნავალი, ცეკვა მინდორზე, ვარსკვლავები, სილაღე. აი, ეს ორი რამ ერწყმის ერთმანეთს ბრაზილიის ნაკრებში და საუკეთესო შერწყმა ალბათ ის იყო, როცა ბოტელი გარინჩა და თევზების პელე მხარდამხარ თამაშობდნენ ნაკრებში. ცნობილია, როცა ისინი ერთად იყვნენ მოედანზე, ბრაზილიას არ წაუგია.

ეს შერწყმა არ არის ხოლმე იოლი. თუ გავითვალისწინებთ, რომ პაულისტა ყველგან პაულისტაა და კარიოკა ყველგან კარიოკა.

ახლაც მახსოვს რობერტო რიველინუს ზამთრისპირა ინტერვიუ, ერთ წელიწადს ვითამაშე რიოში და უკან გამოვიქეცი, იმათ რაღაც სხვა თამაში აქვთო. ბრაზილიელები იოლი და გულღია ხალხია და შერწყმა გამოსდით. რაც, მაგალითად, არ გამოსდით ესპანელებს და ბოლოს საერთოდ არ გამოსდიოდათ საბჭოელებს, ისევე, როგორც ალბათ არასდროს გამოვა რამე ბრიტანეთის ნაკრები რომ შედგეს.

ოღონდაც, ამ სამ ჩამოთვლას ისიც უშლის ხელს, რომ კატალონიელი, ბასკი, კასტილიელი, რუსი, ქართველი და უკრაინელი სხვადასხვანი არიან, ხოლო პაულისტა და კარიოკა უბრალოდ ბრაზილიური ფეხბურთის და ცხოვრების ორი სხვადასხვა გზაა.

ასეთი რამე ჩვენთანაც შეიმჩნეოდა ოდესღაც და განვითარდებოდა კიდეც, საქართველო რომ ქვეყანა ყოფილიყო:

თბილისისა და ზღვისპირეთის ერთმანეთის მსგავს, იოლად შერწყმად სტილებს შუა ამოზრდილი იყო ქუთაისური სკოლა — უფრო რაციონალური, ნაკლებად არტისტული, მაგრამ ღონიერი და ძალიან ბრძოლისუნარიანი.

ეჰ, ჩვენთან იმდენი რამე იქნებოდა, საქართველო რომ ქვეყანა ყოფილიყო...

მაგრამ ისევ ბრაზილიას მივუბრუნდეთ.

იქაურ ფეხბურთში სილამაზე ათას რამეზეა დაფუძნებული, მაგრამ, რა საკვირველიც არ უნდა იყოს, გენიოსებს ცხოვრების გამოუვალობა შობს. საუკეთესო გზა ღატაკთა უბნის ბიჭისთვის ფეხბურთია. ღატაკთა უბნები კი, იცოცხლე, ბევრია. ბრაზილიელი საფეხბურთო იმიგრანტები, რონალდოთი და რონალდინიოთი დაწყებული, სრულიად უცნობი სანტოსებით და სილვებით დასრულებული, თამაშობენ ისლანდიიდან ჰონკონგამდე და მათ ეს აწყობთ. თქვენ გგონიათ, ბრაზილიურ კლუბებში დიდი ხელფასებია? დიდი ხელფასი რომარიოს და ედმუნდოსნაირ ვინმეებს აქვთ. ბრაზილიაში კი იმდენი ჩვეულებრივი ფეხბურთელია, კონკურენცია იმდენად მაღალია, რომ ციცქნა კლუბებში თამაშიც კი ძალიან ძნელია. ამიტომ, ერთ რომელიმე სამპაიოს ურჩევნია, ნორვეგიის მეორე დივიზიონში ითამაშოს. იქ ის პელეა, ანუ ბრაზილიელია. ბრაზილიელი ყველაზე ცნობილი სავაჭრო ნიშანია დღევანდელ ფეხბურთში.

ბრაზილიაში არ არის სათადარიგო შემადგენლობები, არ არის ბავშვებისა და იუნიორების ჩემპიონატები, მაგრამ იქ ბავშვები და ყმაწვილები თამაშობენ ყველაზე მეტს და, რაც მთავარია, თამაშობენ თავისუფლად, მათ ბურთს წუთობით კი არ ანდობენ, არამედ საათობით. მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში ბავშვის ფეხი ისე არ ეჩვევა ბურთს, როგორც ბრაზილიაში. არც ერთი ბრაზილიელი საბავშვო მწვრთნელი არ ეტყვის პატარა ბიჭს, ღონიერი ფეხი გაქვს და ამიერიდან მცველი იქნებიო.

ევროპის დარჩეულ აკადემიებში ბავშვი 4-6 საათს ვარჯიშობს კვირაში და თანაც მეცნიერულად და ჭკვიანურად. ჩვენ კი უნდა გავიხსენოთ, რომ „გრემიოში“ მისული 16 წლის რონალდინიო კვირაში 20 საათს ვარჯიშობდა და თან ისე, რომ ჩარჩოებში არ იყო მოქცეული.

ის ამბავი კი, რომ ბრაზილიას პლაჟის და ქუჩის ფეხბურთი კვებავს, უკვე წარსულს ჩაბარდა. 10-12 წლის ბიჭი უკვე კლუბშია და კარგა სწრაფად გადის ასაკობრივ საფეხურებს.

ბრაზილიური ტაქტიკური მონახაზებიც ძალიან განსხვავებულია ევროპულისგან. მაგალითად, ირლანდიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ბრაიან კერმა მას 2-2-2-2-2 უწოდა.

ნამდვილი მცველები იქ მხოლოდ ორი ცენტრალური მცველია, განაპირა მცველები იმავდროულად თავდამსხმელებიც არიან და ნახევარმცველებიცო. ეს ბრაზილიელებს საშუალებას აძლევს, რომ, ვთქვათ, ფრთების მთელ გაყოლებაზე 3-3 კაცი ჰყავდეთ, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ცენტრალური მცველები ძალიან მაღლა თამაშობენ და იმავდროულად საყრდენებადაც გარდაისახებიან ხოლმე, მივხვდებით, თუ რას ნიშნავს შეტევა ბრაზილიელთათვის. კერი ამბობს, რომ ასეთი რამ მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის ფეხბურთელების ყოლის შემთხვევაშია შესაძლებელი.

ცხოვრების ბრაზილიური გზა — ერთი მაგალითი. ბრაზილიის 17-წლამდელთა ზღაპრული ნაკრებიდან ერთადერთი ფეხბურთელი გახდა პროფესიონალი, რონალდო.

არსებობს ასეთი ბრაზილიური გამოთქმა: დიდი ფეხბურთელები ყოველდღე იბადებიან.

ფუფუნებაა, არა? მუყაოს ქალაქებში.

ორმაგი ჯო

ორმოციანი კოული გაოთხმოცდა

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ შემტევმა ნახევარმცველმა ჯო კოულმა კლუბთან ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი ახლა ორჯერ მეტ ხელფასს, კვირაში 80 ათას გირვანქას მიიღებს და ჩელსელთა ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახდება.

ჯო კოული: „ძალიან მიხარია, რომ ყველაფერი ასე სწრაფად და უპრობლემოდ შევათანხმეთ. „ჩელსიში“ მომავალი ოთხი წლის მანძილზე სიამოვნებით დავრჩები. აქ საოცარი საბრძოლო სული და გამარჯვებისკენ სწრაფვაა. წასვლაზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ რამდენიმე დეტალი იყო გასარკვევი და კარგია, რომ ეს მოხერხდა. ოღონდ არ იფიქროთ, რომ ხელფასზე ვევაჭრებოდი“.

„ბოლო ორ სეზონში იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში. გასულ ზაფხულს ჯომ ახალ კონტრაქტზე ხელის მოწერა იუარა, ჯერ უნდა დავამტკიცო, რომ ამის ღირსი ვარო და ასეც მოიქცა. იგი მარტო „ჩელსისთვის“ არ არის წამყვანი მოთამაშე, არამედ ეროვნული ნაკრებისთვისაც და თუ რატომ, ეს პარაგვაისთან მატჩში კიდევ ერთხელ დაამტკიცა“ — განაცხადა კლუბის თავმჯდომარემ პიტერ კინიონმა.

შეგახსენებთ, რომ ჯო კოული „ჩელსიმ“ 2003 წელს 6,6 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ „ვესტ ჰემიდან“ იყიდა და ჟოზე მაურინიუს ხელში კარგად ათამაშდა.

გიორგი ძაძაბაძე

რუმენიგე მანჩესტერს წინიდან შემოუვლის

მიუნხენის „ბაიერნი“ ჰოლანდიელ ფორვარდ რუუდ ვან ნისტელროით დაინტერესდა. მოგეხსენებათ, 29 წლის ფეხბურთელს „მანჩესტერ იუნაიტედში“ საქმეები აერია და შესაძლოა, „ოლდ ტრეფორდის“ დატოვებაც მოუხდეს. მის მთავარ მსურველად აქამდე იტალიური „მილანი“ ითვლებოდა, რომელიც „ჩელსიში“ გადასული ანდრეი შევჩენკოს შემცვლელს ეძებს.

„მას ჩვენთან გადმოსვლა ჯერ კიდევ 2001 წელს სურდა. ახლა ვფიქრობთ რუუდის ყიდვას, მაგრამ „მანჩესტერის“ ზურგსუკან არაფერს გავაკეთებთ. ჯერ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ვან ნისტელროის ტრანსფერზე აყენებენ“ — აღნიშნა „ბაიერნის“ პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

ვან ნისტელროი „მანჩესტერში“ 2001 წლის ივლისში 19 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ პსვ-დან გადავიდა. იგი „წითელ ეშმაკებს“ მალევე მოერგო და გუნდის მთავარმეგოლედ იქცა. ჰოლანდიელს 137 პრემიერლიგურ მატჩში 95 გოლი დაუგროვდა, თუმც გასულ სეზონში სერ ალექს ფერგიუსონთან იჩხუბა და, დარჩება თუ არა „ოლდ ტრეფორდზე“, ჯერ უცნობია.

გიორგი ძაძაბაძე

ბუნდესლიგური მიდი-მოდი

ფრანგულმა „ბორდომ“ გერმანული „ვერდერიდან“ ნახევარმცველი იონ მიკუ გადაიყვანა. მიკუმ, რომელიც ბრემენში მრავალი წლის განმავლობაში თამაშობდა, სამშობლოში ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

შეგახსენებთ, რომ 32 წლის ფეხბურთელმა „ვერდერის“ 2004 წლის გაჩემპიონებასა და თასის მოგებაში დიდი როლი ითამაშა. მანამდე ის იტალიურ „პარმაში“ გამოდიოდა, 2002 წლამდე კი სწორედ „ბორდოში“ თამაშობდა.

ამასობაში კი მიუნხენის „ბაიერნმა“ „ჰამბურგიდან“ ბელგიელი დანიელ ვან ბუიტენი შეიძინა. გერმანიის ჩემპიონმა 28 წლის ვან ბუიტენში 11 მილიონი დოლარი გადაიხადა და ოთხი წლით დაიბევა მცველი. ბუიტენს ადრე უთამაშია ლიეჟის „სტანდარდში“, „მარსელსა“ და „მანჩესტერ სიტიში“

პაპუნა კედია

ობიექტი

მე მჯერა, რომ მექსიკის ნაკრები შორს წავა, მაგრამ არ მჯერა, რომ აფერისტი შამანი რამეში დაეხმარება.

მე მჯერა ფრანგული კოცნის სიწრფელისა, რომელიც წრფელი იქნება ფრანგთა გუნდის მოგების თუ წაგების მიუხედავად. ხოლო ჟაკ შირაკის ნიღაბი ისევე ჰგავს ნაღდ შირაკს, როგორც საფრანგეთის ეს ნაკრები 98 წლის ჩემპიონ ნაკრებს.

არც ინდოელი ბავშვის ქვიშაში გამოქანდაკებული რონალდო ჰგავს მაიანცდამაინც ნაღდს, მაგრამ ბავშვის მონდომებაა გულწრფელი.

და მერე რა, რომ კორეის პრემიერს კაშნე უკუღმა უჭირავს...

სარბიელი & კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		14 ივნისი						
17:00	23	ესპანეთი-უკრაინა	1.80	3.20	4.70	1.15	1.30	1.90
20:00	24	ტუნისი-ს.არაბეთი	1.95	3.10	3.85	1.19	1.29	1.71
23:00	207	გერმანია-პოლონეთი	1.50	3.50	6.50	1.04	1.21	2.27
		15 ივნისი						
17:00	158	ეკვადორი-კოსტა რიკა	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
20:00	159	ინგლისი-ტრინიდადი	1.16	5.80	16.00	1.00	1.08	4.25
23:00	161	შვედეთი-პარაგვაი	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87
		16 ივნისი						
17:00	162	არგენტინა-სერბეთი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
20:00	164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.65	3.30	5.50	1.10	1.26	2.06
23:00	166	მექსიკა-ანგოლა	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
		17 ივნისი						
17:00	168	პორტუგალია-ირანი	1.45	3.90	7.50	1.05	1.21	2.56
20:00	170	ჩეხეთი-განა	1.65	3.40	5.20	1.11	1.25	2.05
23:00	171	იტალია-აშშ	1.60	3.40	6.00	1.08	1.26	2.17
		18 ივნისი						
17:00	173	იაპონია-ხორვატია	4.00	3.30	1.85	1.80	1.26	1.18
20:00	174	ბრაზილია-ავსტრალია	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
23:00	176	საფრანგეთი-ს კორეა	1.40	3.90	8.00	1.03	1.19	2.62
		19 ივნისი						
17:00	178	ტოგო-შვეიცარია	5.30	3.40	1.65	2.07	1.25	1.11
20:00	179	ს.არაბეთი-უკრაინა	9.00	3.90	1.38	2.72	1.19	1.01
23:00	180	ესპანეთი-ტუნისი	1.45	3.60	7.50	1.03	1.21	2.43
		20 ივნისი						
18:00	182	ეკვადორი-გერმანია	8.50	4.30	1.35	2.85	1.16	1.02
18:00	183	კოსტა რიკა-პოლონეთი	5.00	3.40	1.70	2.02	1.26	1.13
23:00	184	პარაგვაი-ტრინიდადი	1.50	3.60	7.00	1.05	1.23	2.37
23:00	186	შვედეთი-ინგლისი	3.70	3.20	1.95	1.71	1.27	1.21
		21 ივნისი						
18:00	187	პორტუგალია-მექსიკა	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
18:00	188	ირანი-ანგოლა	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
23:00	189	ჰოლანდია-არგენტინა	3.00	3.10	2.30	1.52	1.30	1.32
23:00	190	კოტ დიუარი-სერბეთი	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
		22 ივნისი						
18:00	191	ჩეხეთი-იტალია	3.15	3.10	2.20	1.56	1.29	1.28
18:00	192	განა-აშშ	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
23:00	193	ხორვატია-ავსტრალია	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
23:00	194	იაპონია-ბრაზილია	10.00	5.50	1.25	3.54	1.11	1.01
		23 ივნისი						
18:00	195	უკრაინა-ტუნისი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
18:00	197	ს.არაბეთი-ესპანეთი	12.00	5.50	1.20	3.77	1.09	1.00
23:00	198	შვეიცარია-ს კორეა	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
23:00	199	ტოგო-საფრანგეთი	9.00	4.80	1.30	3.13	1.13	1.02

ჩოგბურთი

კაცები.

ლონდონი ბალახი

14 ივნისი

15:00	263	ხიუიტი-ვისენტე	1.10	5.00
15:00	264	ხენმენი-რ დელგაადო	1.15	4.50
15:00	265	ფ გონსალესი-დიუპუა	1.45	2.40
15:00	266	მონფილსი-რეინოლდსი	1.40	2.55
15:00	267	ლიუბიჩიჩი-საბაუ	1.10	5.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანბრად	II-ში
15158	ეკვადორი-კოსტა რიკა	3.00	2.80	2.00
15159	ინგლისი-ტრინიდადი	3.00	2.80	2.00
15161	შვედეთი-პარაგვაი	3.00	2.80	2.00
15162	არგენტინა-სერბეთი	3.00	2.80	2.00
15164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	3.00	2.80	2.00
15166	მექსიკა-ანგოლა	3.00	2.80	2.00
15168	პორტუგალია-ირანი	3.00	2.80	2.00
15207	გერმანია-პოლონეთი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.40	2.40
16161	შვედეთი-პარაგვაი	1.40	2.40
16162	არგენტინა-სერბეთი	1.30	2.80
16164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.40	2.40
16166	მექსიკა-ანგოლა	1.12	4.20
16168	პორტუგალია-ირანი	1.10	4.80
16207	გერმანია-პოლონეთი	1.15	3.80

გოლი:ზეკვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ზეკვილად)

17158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.85	1.95
17159	ინგლისი-ტრინიდადი	1.85	1.95
17161	შვედეთი-პარაგვაი	1.85	1.95
17162	არგენტინა-სერბეთი	1.85	1.95
17164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.85	1.95
17166	მექსიკა-ანგოლა	1.85	1.95
17168	პორტუგალია-ირანი	1.85	1.95
17207	გერმანია-პოლონეთი	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.70	1.90
12159	ინგლისი-ტრინიდადი	2.00	1.60
12161	შვედეთი-პარაგვაი	1.60	2.00
12162	არგენტინა-სერბეთი	1.70	1.90
12164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.70	1.90
12166	მექსიკა-ანგოლა	1.70	1.90
12168	პორტუგალია-ირანი	1.80	1.75
12207	გერმანია-პოლონეთი	1.90	1.70

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.70	1.90
13159	ინგლისი-ტრინიდადი	1.90	1.65
13161	შვედეთი-პარაგვაი	1.70	1.90
13162	არგენტინა-სერბეთი	1.80	1.80
13164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.70	1.90
13166	მექსიკა-ანგოლა	1.90	1.70
13168	პორტუგალია-ირანი	1.90	1.70
13207	გერმანია-პოლონეთი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანბარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი ზუსტად ნაკლებია)

14158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.65	2.20
14161	შვედეთი-პარაგვაი	1.65	2.20
14162	არგენტინა-სერბეთი	1.30	2.50
14164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.60	2.20
14166	მექსიკა-ანგოლა	1.20	2.60
14168	პორტუგალია-ირანი	1.15	2.60
14207	გერმანია-პოლონეთი	1.12	2.50

ვინ დაიწყებს თამაშს

19158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.85	1.85
19159	ინგლისი-ტრინიდადი	1.85	1.85
19161	შვედეთი-პარაგვაი	1.85	1.85
19207	გერმანია-პოლონეთი	1.85	1.85

ვინ მიაღწევს პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.80	1.80
20159	ინგლისი-ტრინიდადი	1.30	2.80
20161	შვედეთი-პარაგვაი	1.70	2.00
20207	გერმანია-პოლონეთი	1.60	1.95

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.70	1.90
22159	ინგლისი-ტრინიდადი	1.70	1.90
22161	შვედეთი-პარაგვაი	1.80	1.80
22207	გერმანია-პოლონეთი	1.80	1.90

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10158	ეკვადორი-კოსტა რიკა	2.40	2.00	4.40	1.09	1.55	1.37
10159	ინგლისი-ტრინიდადი	1.30	3.00	10.00	1.00	1.15	2.30
10161	შვედეთი-პარაგვაი	2.30	2.00	4.30	1.06	1.49	1.36
10162	არგენტინა-სერბეთი	2.00	2.10	5.20	1.02	1.44	1.49
10164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	2.30	2.00	4.40	1.06	1.51	1.37
10166	მექსიკა-ანგოლა	1.70	2.30	6.00	1.00	1.32	1.66
10168	პორტუგალია-ირანი	1.60	2.50	6.00	1.00	1.26	1.76
10207	გერმანია-პოლონეთი	1.80	2.30	6.00	1.00	1.38	1.66

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11158	ეკვადორი-კოსტა რიკა	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11159	ინგლისი-ტრინიდადი	1.40	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11161	შვედეთი-პარაგვაი	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11162	არგენტინა-სერბეთი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.00
11166	მექსიკა-ანგოლა	1.80	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11168	პორტუგალია-ირანი	1.70	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11207	გერმანია-პოლონეთი	2.00	10.00	20.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

რომელ ჯგუფში გავა ყველაზე მეტი გოლი

9 ივნისი

18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი A	7.00
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი F	5.00
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი H	6.00
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი C	12.00
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი D	5.20
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი E	7.50
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი B	5.50
18:00	9201	ყველაზე მეტი გოლი	ჯგუფი G	6.20

რომელი კონტინენტი მოიპოვებს მსოფლიოს თასს

9 ივნისი

18:00	9301	გამარჯვებული	ევროპა(14) 1.30
18:00	9301	გამარჯვებული	ავსტრალია 100.00
18:00	9301	გამარჯვებულ	ჩრ.ამერიკა 70.00
18:00	9301	გამარჯვებული	აზია(4) 60.00
18:00	9301	გამარჯვებული	ც.ამერიკა(3) 30.00
18:00	9301	გამარჯვებული	სამ.ამერიკა(4) 2.10
18:00	9301	გამარჯვებული	აფრიკა(5) 30.00

ვინ გახდება მჩ 2006-ის ბომბარდირი. 9501. 9 ივნისი. 18.00

კლინსმანი	28.00	რონალდო	10.00	კეკმანი	65.00	ლარსონი	45.00	დელ პიერო	38.00
შაბი	32.00	შევჩენკო	20.00	ადრიანო	10.00	ნედვედი	65.00	შუნი	35.00
ლინეკერი	45.00	რონალდინიო	11.00	პრესი	55.00	ხაჩე	45.00	ოუენი	13.00
ჯოლარდინო	25.00	ანრი	13.00	ბეკჰემი	48.00	კრაუნი	40.00	ბარიში	40.00
ვიდა	25.00	კრესპი	15.00	გომეში	50.00	ვიერი	30.00	ლამპარდი	45.00
ტორეხი	25.00	ტონი	15.00	ბალეკი	48.00	კეიტი	30.00	ტიტი	30.00
პოდოლსკი	25.00	ვან ნისტელროი	15.00	კეკი	48.00	პაულეტა	32.00	კოლეონი	65.00
რუნი	17.00	ზიდანი	60.00	ვენგეროი	45.00	რაული	35.00	ტრეზეგე	20.00
ლეკი	60.00	ბეკენბაუერი	30.00	ბორგეტი	45.00	რიბინიო	31.00	ინზაგიმეონი	40.00

მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

18:00	9012	იაპონია	130.00	18:00	9012	ანგოლა	380.00	18:00	9012	ს კორეა	250.00
18:00	9012	ბრაზილია	3.20	18:00	9012	კოტ დივარი	80.00	18:00	9012	ავსტრალია	80.00
18:00	9012	გერმანია	7.50	18:00	9012	ტრინიდადი	800.00	18:00	9012	პოლონეთი	75.00
18:00	9012	პორტუგალია	18.00	18:00	9012	ს.არაბეთი	600.00	18:00	9012	ჩეხეთი	25.00
18:00	9012	ესპანეთი	12.00	18:00	9012	ირანი	450.00	18:00	9012	შვედეთი	28.00
18:00	9012	პოლონეთი	15.00	18:00	9012	ტოგო	290.00	18:00	9012	მექსიკა	40.00
18:00	9012	საფრანგეთი	10.00								

18:00	9012	ეკვადორი	45.00	18:00	9012	შვეიცარია	100.00
18:00	9012	ხორვატია	50.00	18:00	9012	ხორეა	100.00
18:00	9012	ტუნისი	280.00	18:00	9012	ეკვადორი	120.00
18:00	9012	აშშ	95.00	18:00	9012	პარაგვაი	130.00
18:00	9012	განა	190.00	18:00	9012	ინგლისი	6.50
18:00	9012	კოსტა რიკა	500.00	18:00	9012	იტალია	8.50
				18:00	9012	არგენტინა	9.00

მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

ჯგუფი A 9101			ჯგუფი B 9102			ჯგუფი C 9103			ჯგუფი D 9104			ჯგუფი E 9105			ჯგუფი F 9106			ჯგუფი G 9107			ჯგუფი H 9108		
18:00	გერმანია	1.35	18:00	ტრინიდადი	35.00	18:00	სერბეთი	9.00	18:00	პორტუგალია	1.80	18:00	იტალია	1.65	18:00	იაპონია	12.00	18:00	საფრანგეთი	1.30	18:00	ტუნისი	8.50
18:00	კოსტა რიკა	15.00	18:00	პარაგვაი	7.00	18:00	კოტ დივარი	9.00	18:00	ირანი	10.00	18:00	განა	10.00	18:00	ავსტრალია	12.00	18:00	შვეიცარია	4.80	18:00	ს.არაბეთი	30.00
18:00	ეკვადორი	9.00	18:00	ინგლისი	1.45	18:00	პოლონეთი	2.40	18:00	ანგოლა	12.00	18:00	ჩეხეთი	3.00	18:00	ხორვატია	6.20	18:00	ტოგო	15.00	18:00	ეკვადორი	3.00
18:00	პოლონეთი	4.50	18:00	შვედეთი	3.10	18:00	არგენტინა	1.95	18:00	მექსიკა	2.10	18:00	აშშ	7.00	18:00	ბრაზილია	1.20	18:00	ს კორეა	10.00	18:00	იაპონია	1.50

ვინ შეხვდება ერთმანეთს ფინალში. 9 ივნისი

18:00	9401	ჩეხ-ხორვ	500.00	18:00	9401	ბრაზ-უკრ	75.00	18:00	9401	ესპ-ხორვ	300.00	18:00	9401	ინგლ-საფ	13.00	18:00	9401	ინგლ-შვედ	40.00
18:00	9401	შვედ-უკრ	500.00	18:00	9401	იტალ-მექს	95.00	18:00	9401	ჩეხ-მექს	370.00	18:00	9401	არგ-გერ	16.00	18:00	9401	არგ-ხორ	150.00
18:00	9401	შვედ-ხორვ	700.00	18:00	9401	იტალ-ჩეხ	65.00	18:00	9401	პორტ-ხორვ	380.00	18:00	9401	ინგლ-არგ	11.00	18:00	9401	საფრ-ჰოლან	33.00
18:00	9401	მექს-ხორვ	900.00	18:00	9401	იტალ-შვედ	100.00	18:00	9401	ესპ-პორტ	80.00	18:00	9401	ბრა-ჰოლ	16.00	18:00	9401	იტალ-უკრ	130.00
18:00	9401	მექს-უკრ	700.00	18:00	9401	ინგლ-ჩეხეთ	65.00	18:00	9401	ესპ-უკრ	250.00	18:00	9401	არგ-საფრ	25.00	18:00	9401	გერ-პორტ	40.00
18:00	9401	ინგლ-ხორვ	150.00	18:00	9401	ბრაზ-შვედ	65.00	18:00	9401	ჰოლ-მექს	200.00	18:00	9401	იტალ-ჰოლან	22.00	18:00	9401	გერ-უკრ	125.00
18:00	9401	საფრ-პორტ	65.00	18:00	9401	ბრაზ-მექს	60.00	18:00	9401	არგ-ესპ	25.00	18:00	9401	გერ-ჰოლან	20.00	18:00	9401	ბრა-იტალ	7.00
18:00	9401	ჩეხ-შვედ	240.00	18:00	9401	არგ-ჩეხეთ	60.00	18:00	9401	ბრაზ-ჩეხეთ	40.00	18:00	9401	არგ-იტალ	20.00	18:00	9401	ბრა-გერ	6.00
18:00	9401	საფრ-უკრ	200.00	18:00	9401	გერ-ჩეხეთ	48.00	18:00	9401	ინგლ-ესპ	32.00	18:00	9401	გერ-იტალ	18.00	18:00	9401	ესპ-შვედ	125.00
18:00	9401	არგ-შვედ	100.00	18:00	9401	იტალ-პორტ	50.00	18:00	9401	ბრაზ-პორტ	32.00	18:00	9401	გერ-მექს	100.00	18:00	9401	ბრა-არგ	6.50
18:00	9401	არგ-მექს	95.00	18:00	9401	ჩეხ-უკრ	500.00	18:00	9401	ბრა-ესპ	28.00	18:00	9401	ინგლ-ჰოლან	25.00	18:00	9401	საფრ-შვედ	125.00
18:00	9401	ჰოლ-პორტ	80.00	18:00	9401	არგ-პორტ	45.00	18:00	9401	იტალ-ესპ	28.00	18:00	9401	ჰოლ-შვედ	125.00	18:00	9401	ბრა-ინგლ	8.50
18:00	9401	შვედ-მექს	400.00	18:00	9401	ჰოლან-ესპ	40.00	18:00	9401	იტალ-საფრ	25.00	18:00	9401	პორტ-მექს	200.00	18:00	9401	ბრა-საფრ	11.00
18:00	9401	გერ-შვედ	80.00	18:00	9401	ჰოლ-უკრ	250.00	18:00	9401	გერ-ესპ	25.00	18:00	9401	საფრ-ესპ	40.00	18:00	9401	გერ-ხორვ	150.00
18:00	9401	საფრ-ჩეხეთ	80.00	18:00	9401	ბრაზ-ხორვ	70.00	18:00	9401	ინგლ-გერ	11.00	18:00	9401	პორტ-ჩეხ	150.00	18:00	9401	საფრ-ხორვ	240.00
18:00	9401	ესპ-მექს	200.00	18:00	9401	ხორვ-უკრ	800.00	18:00	9401	ინგლ-იტალ	11.00	18:00	9401	იტალ-ხორვ	150.00	18:00	9401	ესპ-ჩეხ	100.00
18:00	9401	პორტ-შვედ	200.00	18:00	9401	ჰოლ-ხორვ	280.00	18:00	9401	გერ-საფრ	25.00	18:00	9401	ჰოლ-ჩეხ	100.00	18:00	9401	არგ-უკრ	120.00
18:00	9401	ინგლ-მექს	75.00	18:00	9401	პორტ-უკრ	300.00	18:00	9401	ინგლ-პორტ	40.00	18:00	9401	საფრ-მექს	150.00	18:00	9401	ინგლ-უკრ	125.00

მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფიდან გასვლა

ჯგუფი A 9601			ჯგუფი B 9602			ჯგუფი C 9603			ჯგუფი D 9604			ჯგუფი E 9605			ჯგუფი F 9606			ჯგუფი G 9607			ჯგუფი H 9608		
18:00	კოსტა რიკა	5.00	18:00	ინგლისი	1.11	18:00	კოტ დივარი	3.00	18:00	ირანი	4.00	18:00	განა	4.00	18:00	ავსტრალია	3.00	18:00	შვეიცარია	1.50	18:00	ესპანეთი	1.10
18:00	გერმანია	1.07	18:00	შვედეთი	1.30	18:00	სერბეთი	3.00	18:00	ანგოლა	5.00	18:00	იტალია	1.15	18:00	ხორვატია	1.70	18:00	ს. კორეა	2.70	18:00	ეკვადორი	1.40
18:00	პოლონეთი	1.45	18:00	ტრინიდადი	13.00	18:00	არგენტინა	1.20	18:00	პორტუგალია	1.14	18:00	ჩეხეთი	1.45	18:00	ბრაზილია	1.02	18:00	ტოგო	5.00	18:00	ტუნისი	2.50
18:00	ეკვადორი	2.80	18:00	პარაგვაი	2.50	18:00	პოლონეთი	1.30	18:00	მექსიკა	1.22	18:00	აშშ	2.50	18:00	იაპონია	3.20	18:00	საფრანგეთი	1.08	18:00	ს არაბეთი	8.00

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყვ) (ძირ. დრო)

21158	ეკვადორი-კოსტა რიკა	2.00	10.00	1.65
21159	ინგლისი-ტრინიდადი	2.40	10.00	1.50
21161	შვედეთი-პარაგვაი	2.00	10.00	1.65
21207	გერმანია-პოლონეთი	2.00	10.00	1.60

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23158	ეკვადორი-კოსტა რიკა	3.00	1.30
23159	ინგლისი-ტრინიდადი	2.80	1.32
23161	შვედეთი-პარაგვაი	3.00	1.30
23207	გერმანია-პოლონეთი	3.00	1.30

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაიაზუსტეთ

გავა თუ არა სწრაფი გოლი მჩ 2006 'ში (2 წთ). 9 ივნისი

18:00	9701	1.32	2.05

მჩ 2006 'ში გატანილი გოლების რაოდენობა (ძირ დრო) 9 ივნისი

18:00	9702	160,5	1.80	1.80

მჩ 2006 პენალტების რაოდენობა (ძირ დრო) 9 ივნისი

18:00	9801	16.5	1.90	1.80

მჩ 2006 გოლი საკუთარ კარში (ძირ დრო) 9 ივნისი

18:00	9802	3.5	1.70	1.90

გაიხსნა ჯროპოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – ადმაშენებლის №39; გარდაბანი – ადმაშენებლის №12

შარშან იღბალი დაგვეხმარა

კილიკიამ დინამო ვირტუალურად დაჯვერა

შარშანდელი „ლოკომოტივი“ — „ბანანცი“ გახსოვთ? ანკი როგორ არ უნდა გახსოვდეთ, უეფას თასის მეორე ეტაპზე თავდაგულებულ ჩვენებურებს სომხებმა „მიხეილ მესხზე“ მწარე ალიყური ააწნეს. „ბანანცის“ მაშინდელი მთავარი მწვრთნელი აშოტ ბარსეგიანი ახლა „კილიკიას“ უდგას სათავეში. ინტერტოტოს თასზე თბილისის „დინამოს“ პირველი მეტოქის დამრიგებელს გუშინ შევეხმიანეთ...

— რამდენად მისაღები მეტოქე გერგოთ თბილისის „დინამოს“ სახით?

— ამ საკითხს ორი მხარე აქვს. საქართველოს ჩვენი კეთილი მეზობელია და საფეხბურთო მოედანზე სომხურ-ქართული დაპირისპირებებიც ყოველთვის უაღრესად საინტერესოა, თუმცა ჩინებულად ვიცნობ თქვენს ფეხბურთს და კარგად მესმის, რომ ურთულესი ბრძოლები გველის. რამდენიმე დღის წინ თბილისის „დინამოს“ ვებგვერდს გავეცანი. მხოლოდ ეს ინფორმაციაც საკმარისია დასკვნის გამოსატანად — ძალიან ძლიერი მეტოქე გვერგო.

— ამ ტურნირისთვის განსაკუთრებულად ემზადებით?

— ინტერტოტოს საგზური მეოთხე ადგილზე გასულ „კოტაიკს“ ეკუთვნოდა, თუმცა მათ ბოლო მომენტში უარი თქვეს. ამიტომ „კილიკიას“ განსაკუთრებული მომზადებისთვის, უბრალოდ, დროც არ ჰქონდა.

— როცა ეს საკითხი გადაწყდა, დაახლოებით მაშინ მიგიწვიეს „კილიკიას“ მთავარ მწვრთნელად. რა როლი ითამაშა თქვენმა შარშანდელმა წარმატებამ — ერთი ქართული კლუბის ძლევა ხომ „ბანანცით“ უკვე შეძელით?

— ვერ გეტყვით, რა კავშირშია ჩემი დანიშვნა თბილისის „დინამოს“ მეტოქეობასთან. კლუბის ხელმძღვანელობას გაცილებით გრძელვადიანი გეგმა აქვს, ვიდრე წლევანდელ ევროტურნირში გამოსვლაა.

— შარშან რის ხარჯზე აჯობეთ „ლოკომოტივს“?

— საკუთარ მოედანზე 2:3 წავაგეთ, თუმცა მაშინ გუნდთან ერთად არ ვიყავი — სომხეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ჩრდილოეთ ირლანდიაში, ბელფასტში ვახლდი. დაბრუნების შემდეგ ვიდეოფირი გავარჩიეთ და მეტოქის სუსტ წერტილებზე გავაკეთეთ აქცენტი. მაინც უნდა ვაღიარო, რომ იღბალმა დიდი როლი ითამაშა. თბილისურ შეხვედრაში 0:0-ზე ორჯერ აშკარა გოლისგან მხოლოდ იღბალმა გვიხსნა, ამდენჯერვე კი ჩვენმა მეკარემ.

— რამდენად ამბიციურია თქვენი ახალი გუნდი და რა მიზანს ისახავთ ინტერტოტოს თასზე?

— ვეცდებით, მაქსიმალურად დიდხანს შემოვრჩეთ გათამაშებას, თუმცა „კილიკია“ და, შესაბამისად, ფეხბურთელებიც ევროტურნირებში გამოსვლის დიდი გამოცდილებით ვერ დაიკვეხნიან. ჩვენ ახალი გუნდის შენების გზაზე ვართ. მაქვს კონკრეტული გეგმები: გუნდს აუცილებლად სჭირდება გაახალგაზრდავება და რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშის დამატება. თუ ყველაფერი ამ გეგმის მიხედვით წარიმართა, ორი წლის შემდეგ მართლაც კარგი გუნდი გვეყოლება.

— საშუალოდ რამდენი კაცი ესწრება „კილიკიას“ საშინაო შეხვედრებს?

— საერთოდ, ჩვენს ჩემპიონატს ცოტა მაყურებელი ჰყავს. „პიუნიკის“, „ბანანცის“ და „მიკას“ მატჩებზე კიდევ არა უშავს, სხვებზე კი რა გითხრათ. შედარებით მეტი გულშემატკივარი დადის სანაკრებო შეხვედრებზე. რამდენიმე დღის წინ სან მარინოს მოვუგეთ და მატჩს ათი ათასამდე ქომაგი დაესწრო. გამოსავალი ისევ ჩვენშია — ისე უნდა ვითამაშოთ, ქომაგს სტადიონზე მოსვლის სურვილი გაუჩნდეს. გუნდის შენებას წლები სჭირდება, დანგრევა კი ერთ თვეშიც შეიძლება, არადა, სტაბილურობა ქომაგის მისაზიდად საუკეთესო საშუალებაა.

— რამდენიმე წუთში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი მატჩი იწყება. შეუძლებელია, არ გკითხოთ: ვის ქომაგობთ?

— ლამაზ ფეხბურთს, ანუ ბრაზილიას. ფეხბურთის ნამდვილი ჯადოქრები არიან, რონალდინიო კი გენიოსია. როცა მის თამაშს ვუყურებ, მაოცებს ადამიანის ამოუწურავი შესაძლებლობები.

— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ან სომხეთს რამდენი წლის შემდეგ შეეძლებათ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა?

— ობიექტურად, საქართველოს უფრო მალე შეუძლია ამის მიღწევა და გულითაც გიქომაგებთ. თუ ასე მოხდა, ჩვენს მთავრობასთან სათქმელი გვექნება — ქართველებმა თუკი შეძლეს ამის მიღწევა, ჩვენ რატომ ვერ უნდა გავიმეოროთ იგივეო. სწორედ მთავრობის ყურადღება გვჭირდება, არადა, ნიჭიერი ბიჭები სომხეთშიც მრავლად არიან. დახმარებაში, პირველ რიგში, კარგ მოედნებს ვგულისხმობ, სხვა დანარჩენს კი იმხელა მნიშვნელობა არ აქვს. გერმანელთა ან იტალიელთა დარი პირობები საბჭოთა კავშირის დროსაც არ გვქონდა, მაგრამ მაინც ვთამაშობდით. უბრალოდ, კარგი მოედნები და სწორად მუშაობაა საჭირო.

გიორგი ნოზაძე

უნივერსალი

იმედი დემიანენკოს, იმედი იმედაშვილს

გეცოდინებათ, ვიტჯორჯიელი დავით იმედაშვილი კიევის „დინამოში“ ვარჯიშობს და თუ ანატოლი დემიანენკოს თავს მოაწონებს, უკრაინული გრანდის მესამე ქართველი გახდება კახა ალადაშვილის და ოთარ მარცვალაძის შემდეგ.

დემიანენკომ იმედაშვილზე მცირე კომენტარი გააკეთა და თქვა, მას აუცილებლად აქვს გუნდში ჩარიცხვის შანსიო: „ეს ყველაფერი თავად დავითზეა დამოკიდებული. ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს შვეიცარიულ შეკრებაზე, რომელიც 17 ივნისს იწყება. ჯერჯერობით კი იმედაშვილზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი: ის თავისი უნივერსალიზმით იპყრობს ყურადღებას, თამაშობს როგორც დაცვაში, ასევე საყრდენ ნახევარმცველად“.

ილია ნანოგაშვილი

ჯანაშია და ქუთათელაძე ტორპედოში

რიონი ზღვიდან ივსება

ქუთაისის „ტორპედომ“ 10 ივნისს დაიწყო ვარჯიში და რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც დაიმატა — აქედან ორი ფოთის „კოლხეთიდანაა“, ნახევარმცველი ზამირ ჯანაშია და ფორვარდი ზვიად ქუთათელაძე. ასევე თბილისის „სპარტაკიდან“ მცველი თორნიკე ელიზბარაშვილი, დანარჩენი ფეხბურთელების გვარები კი ვერაფერს გეტყვით, ისინი გამოუცდელი ახალგაზრდები არიან.

ზაზა ჯანაშიას ძმა, ზამირი, 19 წლისაა და ბოლოხანს თბილისის „დინამოში“ ვარჯიშობდა. „ტორპედოს“ პრეზიდენტმა გრიგოლ ხურციძემ კი გვითხრა, რომ ფეხბურთელთა შევსება დაახლოებით 10 დღე კიდევ გაგრძელდებაო.

„თურქეთში ვაპირებთ შეკრების გავლას და ოთხი ამხანაგური მატჩის გამართვას. ეს როდის იქნება, ვერ გეტყვით. პროკურატურა კვლავ იძიებს კლუბის საქმეებს და მათზე ვართ დამოკიდებულნი. ისიც არ ვიცით, როდის მორჩება ეს არასასიამოვნო პროცესი“ — გვითხრა ხურციძემ.

ილია ნანოგაშვილი

ბოლნისი დღეს გაშავდება და მალე განათდება

საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის „სიონს“ დღეს ოთხი კამერუნელი ფეხბურთელი შეემატება და ოთხივენი შაბათს გუნდს იალტაში ორკვირიან შეკრებაზე გაჰყვება.

კამერუნელთაგან სამი 25 წლისაა, ერთიც 26-ის — ტონი აგიდა ფორვარდია, გასტონ ევოჩე მემეჯი და ერიკ ბაიამი გაელბლე ნახევარმცველები, ხოლო ფრიოდოლინ ბოიომი მცველი.

დარჩებიან თუ არა კამერუნელები „სიონში“, მწვრთნელი კახა ცხადაძე სწორედ იალტური შეკრების შემდეგ გადაწყვეტს, ისე კი, ბოლნისელები საკმაოდ იმედიანად არიან და ამბობენ, ეს ლეგიონერები გუნდს გამოადგებიანო.

ამასობაში ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე“ უკვე განათებასაც აკეთებენ, ბოძები გამაგრებულია და ხვალზეგ კიდევ ერთი განათებული სტადიონი გვექნება. როგორც ვწერდით, „თამაზ სტეფანიაზე“ შეიცვლება მოედნის საფარიც — საამისო სამუშაოები უკვე მთავრდება.

კოგა ინასარიძე

ხოჯავა ავსტრიაში ვერ წავიდა, მაგრამ კრილიაშია

21 წლის გოჩა ხოჯავა რუსული პრემიერლიგის „კრილია სოვეტოვში“ რომ ეშურება ჩარიცხვას, აღრეც გაუწყეთ.

გუშინ „კრილია“ დავით მუჯირითურთ ავსტრიაში გაემგზავრა, რათა იქ გააგრძელოს მოსამზადებელი შეკრება.

შევიტყვეთ, რომ „კრილიაში“ გასინჯვაზე ჩასული ხოჯავა გუნდს ავსტრიაში ვერ გაჰყვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას უკვე უარი უთხრეს გუნდში აყვანაზე — ხოჯავა ახლა „კრილიას“ მეორე გუნდში ვარჯიშობს და შესაძლოა, პირველ გუნდს რამდენიმე დღეში შეუერთდეს ავსტრიაში.

როგორც შევიტყვეთ, რომ ხოჯავა ვიზის არქონის გამო ვერ გაემგზავრა ავსტრიაში.

ლუკა თალაკვაძე

ნოზაძემ ტრანსფერი ითხოვა

ცოტა არ იყოს, უცნაური ამბავი თბილისის „დინამოდან“ — იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც კლუბმა სეზონის დასრულებისთანავე ტრანსფერზე დააყენა, ერთ-ერთი კაპიტანი ლაშა ნოზაძეცაა, არა მხოლოდ „დინამოს“, მთლიანად ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეული და სტაბილური ფეხბურთელი. როგორც შევიტყვეთ, ნოზაძეს კლუბის ხელმძღვანელობისთვის ტრანსფერზე დაყენება თავად უთხოვია და არც მათ ჰქონიათ რაიმე საწინააღმდეგო.

ჯერჯერობით ფეხბურთელი ისევ „დინამოსთან“ ერთად ვარჯიშობს და ახალი სეზონისთვის ემზადება, თუმცა 18 ივნისს ინტერტოტოზე „კალიკიასთან“ ალბათ არ ითამაშებს, მისი გადაბირების მსურველი კლუბების ვინაობა კი ჯერ უცნობია.

აქვე გეტყვით, რომ კიდევ ერთი ფეხბურთელი, ვინც „დინამომ“ ტრანსფერზე დააყენა, მცველი რევაზ ქემოკლიძეა.

ლუკა თალაკვაძე

ახლები, ახლები: ჩიხურამ 50-ით დაიწყო

საჩხერის „ჩიხურამ“ გუშინ დაიწყო ვარჯიში და გუნდის თავკაც ხვიჩა ქასრაშვილს 50-მდე ფეხბურთელი მოუგროვდა. ბევრ მათგანს უკვე კონტრაქტი აქვს „ჩიხურასთან“, ბევრნიც ისინჯებიან — ვარჯიშები კი ჭიათურაში ტარდება.

ახალ ახალწვეულთა შორის არიან „თბილისის“ ყოფილი ფეხბურთელები — ფორვარდი გიორგი მიქაძე და მცველი გიორგი ლოლაძე და თბილისის „სპარტაკის“ ნახევარმცველი კობა შალამბერიძე.

ცოტა ხანში ალბათ საბოლოოდ გაირკვევა „ჩიხურაში“ დამრჩენ-წამსვლელები და სიაც გაიცხრილება...

ლუკა თალაკვაძე

ბენილუქსის ქვეყნებში რუსულენოვანი ყოველთვიური გაზეთი გამოდის — Новости Бенилюкса, რომლის წინა ნომერში წერილი გამოქვეყნდა „ალკმაარის“ მეგოლე შოთა არველაძეზე, რაც ალბათ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვისაც...

მას პირველად უცნაურ ვითარებაში შევხვდი. 1998 წელს ამსტერდამის სასტუმრო „კრასნოპოლსკაიაში“ შევიკრიბეთ. მაგიდას მრავალფეროვანი კომპანია მიუსხდა — ფინანსური ჰოლდინგის გერმანელი მენეჯერი და ჰოლანდიელი მეწარმეები. საქმიანი ლანჩის შემდეგ სასტუმროს ბარში გადავინაცვლეთ, სადაც უფრო სადად გავაგრძელეთ საუბარი. მაშინ შევამჩნიე ახალგაზრდა კაცი, ვინც ჩვენ მოგვიანებით შემოგვიერთდა და მოგვესალმა. ის ცოტას ლაპარაკობდა და მხოლოდ მინერალურ წყალს სვამდა, სახე ჩამოფხუტული კეპით ჰქონდა დაფარული და ჩემგან მარჯვნივ იჯდა. რამდენიმე წუთში ვიღაც ჰოლანდიელი ქალი მოვიდა და მას მოწიწებით სთხოვა ავტოგრაფი. ჩემ გარდა ამას არავინ მიაქცია ყურადღება. ცოტა ხანში მას კიდევ რამდენიმემ გამოართვა ავტოგრაფი...

— უკვე დაიწყო... ესენი ახლა თქვენც არ მოგასვენებენ, წავალ და საღამოს შევხვდებით, როგორც შევთანხმდით — ჩუმად, ქართული აქცენტით გვითხრა ჩვენმა სტუმარმა, დაგვემშვიდობა და წავიდა.

— ვინ არის? — ვკითხე ჩემს მეგობარს.

— შენ რა, მთვარიდან ჩამოფრინდი? ეს ხომ შოთა არველაძეა! — თვალები გაუფართოვდა ჩემს მეგობარს — არ იცი, ვინ არის შოთა არველაძე?

— არა.

— ის ფეხბურთის ვარსკვლავია, მას ყველა იცნობს.

ჩემმა მეგობარმა ნაირგვარი საფეხბურთო ამბების მოყოლა დამიწყო, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი რამ გავიგე — შოთა არველაძეს ყველა იცნობს ჩემ გარდა.

უნდა ვაღიარო, რომ ფეხბურთისგან შორს ვარ და, საერთოდაც, ებრაელების საქმე არაა მოედანზე ბურთის დევნა. მაგრამ ამ შემთხვევით გაცნობილ პიროვნებაზე მერე და მერე სულ უფრო ხშირად ვიგებდი ამბებს, თანაც ჩემს მოვალეობაში შედის ბენილუქსის რუსულენოვანთა ცხოვრებაზე წერა და, მკითხველისთვის არ მომეყოლა იმაზე, ვინც ჩვენს გვერდით ცხოვრობს, ალბათ დიდი შეცდომა იქნებოდა.

მას ტელეფონით შევუთანხმდი შეხვედრაზე და ალკმაარის AZ-ის სტადიონს მივადექი. გუნდის ვარჯიშებს შორის შესვენების დაწყებას ათი წუთი აკლდა და დროის მოსაკლავად საფეხბურთო ჟურნალებს ვათვალიერებდი. უცებ ჩემთან, ასე, 12 წლის ბიჭი მოვიდა და მკითხა, რა ენაზე ლაპარაკობთო. ვიფიქრე, შოთას აგვიანდება და ეს ბიჭი ჩემთან ამიტომ გამოგზავნა-მეთქი.

— რუსულად — ვუპასუხე კითხვაზე.

— ასეც მეგონა. მეც ვლაპარაკობ რუსულად. ვილნიუსიდან ვარ, უკვე სამი წელია, ჰოლანდიაში ვცხოვრობ. აქ ვის ელოდებით?

— შოთა არველაძეს. იცნობ ასეთ ფეხბურთელს?

— როგორ არა?! — თვალები გაუბრწყინდა ჩემს მოსაუბრეს — თქვენც ფეხბურთელი ხართ?

— არა, უბრალოდ, მისი ნაცნობი ვარ. შენ რას აკეთებ აქ?

— ავტოგრაფების ასაღებად მოვედი. AZ ჩემი საყვარელი გუნდია, ხოლო არველაძე — საყვარელი ფეხბურთელი.

— მასთან სურათის გადაღება არ გინდა?

— ეს შესაძლებელია?

— კი და თუ ეს გინდა, შედი გუნდის გასახდელში და იკითხე, როდის გამოვა შოთა.

მან ორი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო და შოთაც გამოჩნდა. დაღლილი სახე ჰქონდა, ხელი ჩამოართვით ერთმანეთს და ვკითხე:

— როგორ ჩაიარა ვარჯიშმა? რაღაც გადაღლილად გამოიყურები.

— რამდენიმე საათი ირბინე მოედანზე და ენახავ, შენ როგორ იქნები — გაეცინა მას.

იქვე, პატარა კაფეში შევედით და ბიჭზე ვუთხარი, გულშემატკივარი მოგიყვანე-მეთქი. ბიჭმა მას ჟურნალი გაუწოდა, სადაც არველაძის ფოტო იყო და ავტოგრაფი სთხოვა. სასურველი ხელმოწერის შემდეგ ბიჭი ჩემ შორიახლო მოკალათდა და თვალს არ გვაცილებდა.

— ვიცი, რომ თბილისში დაიბადე და დიდხანს თამაშობდი „დინამოში“, მერე კი ამსტერდამის „აიაქსში“ გადახვედი...

— არა, „დინამოში“ დიდხანს არ მითამაშია. მანამდე ერთი წელი მე და ჩემი ძმა არჩილი თბილისის „მართვეში“ ვთამაშობდით.

— აქ 1997 წლიდან ხარ?

— არა, „აიაქსში“ 1996 წელს მივედი.

— მერედა, ძალიან გენატრება საქართველო?

— საქართველოში ჩავდივარ ხოლმე. ჰოლანდიამდე მე და არჩილმა რამდენიმე წელი თურქეთში ვითამაშეთ. ის და ჩემი უფროსი ძმა ახლა თბილისში ცხოვრობენ, ისევე, როგორც ჩემი მშობლები.

— ჰოლანდიაში ოჯახთან ცხოვრობ?

— მეუღლე, ჩემი 8 წლის ბიჭი და 2 წლის გოგო ჩემთან ცხოვრობენ, ორივე ამსტერდამში დაიბადა.

— და ალბათ უკვე ჰოლანდიურადაც ლაპარკობენ...

— არც ისე, უფრო ინგლისურად. 8 წლის გიორგი ინგლისურ სკოლაში დადიოდა.

— ცნობილი ადამიანი ხარ და ამას როგორ აღიქვამ?

— სასიამოვნოა, ამას რომ ვისმენ, მაგრამ მეტის მიღწევა მსურდა. თუმც ბევრი ოცნება ავისრულე და ამაზეც მადლობელი ვარ.

— ჰოლანდიაში ხვდები ქართველებს? გყავს აქ მეგობრები?

— კი, მაგრამ გართობისთვის დრო არ მრჩება, ყოველდღე ვარჯიში მაქვს, ხანდახან დღეში ორჯერ და ამის შემდეგ მხოლოდ დასვენება და მშვიდად ყოფნა მსურს. ხანდახან შაბათ-კვირას ჩემთან ვიკრიბებით მეგობრები, ვთამაშობთ ბანქოს — პოკერს ან დურაკას.

— ადამიანში ყველაზე უფრო რა თვისებებს აფასებ?

— რთული შეკითხვაა. ყველაზე უფრო ალბათ გულწრფელობას და იმას, რომ დარჩე ისეთად, როგორიც ხარ. ამ ცხოვრებაში ძალიან ძნელია, ილაპარაკო ის, რასაც ფიქრობ, მაგრამ ყოველთვის უნდა ეცადო, იყო გულწრფელი.

— შენი საყვარელი კერძი რომელია?

— მეტნაკლებად ყველაფერი მიყვარს.

— ერთმა ჩვენმა საერთო ნაცნობმა მითხრა, რომ შენს ძარღვებში თავადური სისხლი ჩქეფს — მართალია?

— კი, ბებიაჩემი ელენე ბაგრატიონი იყო. სხვათა შორის, მის პატივსაცემად დავარქვი ჩემს შვილს ელენე. ბაგრატიონი, ისევე, როგორც რომანოვი, სამეფო გვარია.

— სპორტულ კარიერაში ბევრს მიაღწიე, ცხოვრებაში რას გინდა, მიაღწიო?

— მინდა, ჩემი ახლობლები და მეგობრები ჯანმრთელად იყვნენ და ყოველთვის შემეძლოს მათი დახმარება. 33 წლის ვარ, ფეხბურთელის კარიერას ვამთავრებ, რაც იმას ნიშნავს, რომ მალე ახალ ცხოვრებას დავიწყებ. უმნიშვნელოვანესი კი ჩემთვის ოჯახი და შვილებია.

— უკაცრავად, მაგრამ, ხალხს ყველაზე უფრო აინტერესებს ჭორმართალი იმის შესახებ, ვინ რამდენს შოულობს, ვის რა მანქანა ჰყავს...

— კონტრაქტის მიხედვით არ მაქვს იმის თქმის უფლება, თუ რა ხელფასს ვიღებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ საკმაო ანაზღაურება მაქვს და თუ მას ჭკვიანურად დავხარჯავთ, ყველას გვეყოფა (იცინის). რაც შეეხება მანქანას, აუდი A4 მყავს და ის კლუბისაა. მანქანებთან მიმართებაში მშვიდი ვარ, ფანატიზმის გარეშე.

— ცხოვრებაში ყველაზე უფრო რა გიყვარს?

— უმთავრესი ოჯახია — ჩემი ოჯახი, მშობლები და ძმები. ამიტომაც, ყველაზე უფრო ის მიყვარს, როცა ერთად შევიკრიბებით და ვისვენებთ. კიდევ, ძალიან მიყვარს ზღვა.

— როგორ ფიქრობ, რა პერსპექტივა აქვს ქართულ ფეხბურთს?

— საქართველოში ფეხბურთის ახლა სამთავრობო დონეზეც დიდი ყურადღება ეთმობა. მიმდინარეობს ერთიანული სტადიონის რეკონსტრუქცია, ფული იდება სხვა ახალ პროექტებში და ეს შეუძლებელი იქნებოდა მთავრობის და ქვეყნის პრეზიდენტის დაუხმარებლად, რადგან ასეთი თანხები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ გააჩნია.

— ფეხბურთელობის შემდეგ მწვრთნელობას დაიწყებ თუ საერთოდ წახვალ ფეხბურთიდან?

— ფეხბურთიდან წასვლას, უბრალოდ, ვერ შევძლებ. ფეხბურთი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ეს ნარკოტიკივითაა, რომელსაც ეჩვევი და ურომლისოდაც ცხოვრება აღარ შეგიძლია. ამიტომაც ვფიქრობ, რომ საუკეთესო გზა, თავი დავაღწიო ასეთ „ლომკას“, არის ის, რომ მწვრთნელობას შეეუდგე.

— და ბოლოს, რას ეტყოდი ჩვენი გაზეთის მკითხველს?

— ყველას ვუსურვებ მშვიდობას, მეგობრობას და სიყვარულს.

სერგეი ბერგმანი

ჯერ კემპი, მერე კონტრაქტი

ვიქტორის ვექტორი დიჟონსაც ასცდა და ახალგაზრდულ ნაკრებსაც

ვიქტორ სანიკიძე კვირას ამერიკაში გაფრინდა, სადაც 15 ივლისიდან ნბა-ს ერთ-ერთ უდიდეს კემპში „სან ანტონიოს“ მაისურით ეცდება ამ გუნდისგან კონტრაქტის დამსახურებას. „სფურზმა“ „ვიკა“ 2 წლის წინ აირჩია დრაფტზე, მაგრამ ტრავმიანობის გამო მისი საქმეში ნახვა ვერ მოახერხა. გასული წლის ბოლოს სანანტონიოელებმა ქართველ ფორვარდს მუხლებზე ოპერაცია გაუკეთეს და მთელი სარეაბილიტაციო სახსრებიც თავად გაიღეს. ახლა კი გამოცდის დროც დადგა — სანიკიძე სოლტ ლეიკ სიტის საზაფხულო კემპში მიიღებს მონაწილეობას, სადაც თავის დროზე უთამაშიათ ანდრეი კირილენკოს, ამარე სტუდემაიერს, ნიკოლოზ ცქიტიშვილს და მრავალ ამობრწყინებულ ვარსკვლავსა თუ ნიჭგაუფურჩქნავ კალათბურთელს. სანიკიძეს მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს ფრანგულ „დიჟონთან“ და ეს კლუბი მას ელოდა კიდეც, მაგრამ „ვიკა“ პირდაპირ ამერიკაში გაემგზავრა და ამას ასეთი ახსნა მოუძებნა...

— „დიჟონში“ რომ წავსულიყავი, ტყუილად დროს დაკარგავდი, ხანგრძლივი მკურნალობა-რეაბილიტაციის შემდეგ მაქსიმალური მობილიზება და ვარჯიში მმართებს, რათა საზაფხულო ლიგას მზადყოფნაში შევხვდე.

— „დიჟონთან“ კონტრაქტი გაკავშირებს და ეს კლუბი ალბათ გელოდა კიდეც..

— კონტრაქტი კი მაქვს, მაგრამ ჩემთვის ახლა გაცილებით მნიშვნელოვანი ნბა-ს საზაფხულო ლიგაზე კარგი თამაშია, რითაც „სან ანტონიოს“ კონტრაქტის დამსახურება შემიძლია. „დიჟონიდან“ წამოსვლა ისედაც მინდა, რადგან ევროპის არაერთი უკეთესი გუნდი მეპატიჟება და თუ ფრანგებთან ჩაუსვლელობის გამო რამე პრობლემა შემექმნა, ამაზე ვინერვიულებ.

— საზაფხულო ლიგა ერთ თვეში იწყება. მანამდე სად ივარჯიშებ?

— სანანტონიოელები 1 ივნისს მელოდნენ, მაგრამ რაღაცა საქმე გამოუჩნდათ და 11-ისთვის დამიჯავშნეს ბილეთები. გუნდი მაძლევს ბინას, მანქანას და თავის ბაზაზე მავარჯიშებს. „სან ანტონიოს“ ახალბედებთან ერთად მოვემზადები საზაფხულო ლიგისთვის.

— როგორ ფიქრობ, რამდენად რეალური შანსია, ნბა-ს ერთ-ერთმა საუკეთესო კლუბმა რომ აგიყვანოს?

— შანსი მართლაც არსებობს და ყველაფერი ჩემზე, უფრო სწორად ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული. თუ ნაოპერაციევმა მუხლებმა არ შემაწუხა და ჩემს გემოზე ვითამაშე, დიდი იმედი მაქვს, რომ უკვე გამზადებულ კონტრაქტს ხელს მოვაწერ...

— გამზადებულს? რომელ კონტრაქტზე ლაპარაკობ?

— „სან ანტონიოსთან“ ჩემი კონტრაქტი უკვე შედგენილია, ყველაფერია მასში გათვალისწინებულია და მხოლოდ თარიღების ჩაწერა და, ცხადია, ხელის მოწერა აკლია.

— თუ საიდუმლო არაა, რამდენწლიანი და რა ფასიანი კონტრაქტია?

— ხელშეკრულების ხანგრძლივობა ალბათ ერთ ან ორწლიანი იქნება — როგორც ვთქვი, ჯერ ვადები და თარიღები არ განსაზღვრულა. რაც შეეხება ღირებულებას, კონტრაქტში წერია, რომ ჩემი წლიური ხელფასი არ უნდა იყოს 384 ათას დოლარზე ნაკლები. თუ მეტი იქნება, ამაზე მერე შევთანხმდებით, როცა ხელშეკრულების გაფორმებაზე მიდგება საქმე. დიდი არაფერი, დრაფტის მეორე რაუნდში არჩეული ახალბედის კონტრაქტია და მე მის დასამსახურებლად მთელი მონდომებით ვიბრძოლებ.

— ახალგაზრდულ ნაკრებს საკვალიფიკაციო მატჩებში ვერ დაეხმარები?

— ვერა, ზუსტად საზაფხულო ლიგას ემთხვევა ნაკრების თამაშები. ახალგაზრდულის განაცხადში კი შემიყვანეს, მაგრამ ნაკრებში ვერ ჩამოვალ და საზაფხულო ლიგაზე „სან ანტონიოს“ შემადგენლობაში ვითამაშებ.

— ეროვნული ნაკრები?

— რაც არ უნდა მოხდეს, სექტემბრისთვის თავისუფალი ვიქნები და თუ გამომიძახებენ, ეროვნულ ნაკრებში აუცილებლად ჩამოვალ.

ირაკლი პერტაია

წამსვლელები დარჩნენ

ქართული ათეული ევროპას ბაქოდან შეუტევს

საქართველოს მოკრივეთა ნაკრები რუმინული საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნდა. ბუქარესტის „ოქროს ქამარზე“ დავით ცერცვაძის გაწვრთნილმა ათეულმა სამი მედალი მოიპოვა. ერთ თვეში კი ბულგარეთის ევროპის ჩემპიონატია, თუმცა იქამდე მწვრთნელმა საევროპე შემადგენლობა უნდა დაასახელოს. გუშინ ცერცვაძე ჩავლილ ტურნირსა და ევროსამზადისზე გვესაუბრა. თან ერთი სასიამოვნო ამბავიც გვახარა. ნაკრებმა უცხოეთში წასასვლელად გამზადებული სამი ძლიერი მოკრივე შეინარჩუნა და საბულგარეთო განწყობაც უფრო ოპტიმისტურია

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

მწვრთნელები კოტე კუპატაძის მონდომებით კმაყოფილნი არიან

— ევროპის პრიზიორი კონსტანტინე კუპატაძე რომ შევინარჩუნეთ, ეს უკვე ახალი ამბავი აღარაა. ჟვანია-ლობჟანიძე-ვამიჩავას დარჩენის შესახებ კი ახლა შევიტყვეთ და ძალიან გახარებულები ვართ. ეს პერსპექტიული ბიჭები საქართველოს ნაკრებს აუცილებლად გამოადგებიან. იმედია, უახლოეს ევროპის ჩემპიონატზევე შეძლებენ თავიანთი სიტყვის თქმას. მოსამზადებელ ეტაპს ისინი ჩვენთან ერთად, სრული დატვირთვით გაივლიან.

— კუპატაძეც ჩავჯდა საევროპო შემადგენლობაში?

— ჯერ არა, მაგრამ მას ეს არ უნდა გაუჭირდეს. საბოლოო შემადგენლობის დასახელებას არ ვჩქარობ, რადგან ბულგარეთში წასვლამდე ერთი თვე და ორი შეკრებაა.

— მოსამზადებელ შეკრებებამდე უკვე ჩავლილი „ოქროს ქამარი“ შეაფასეთ...

— რუმინეთში ათი მოკრივე წავიყვანე და რვამ მეოთხედფინალს მიაღწია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ტურნირზე ცამეტი ქვეყანა უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდა, უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ გვაქვს. „ოქროს ქამარზე“ ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ-პრიზიორები გამოდიოდნენ. საბოლოოდ სამი მედალი მოვიპოვეთ. კობა ქარქაშაძე (57 კგ) ჩემპიონი გახდა, დავით წიკლაური (81 კგ) და იუზა გულორდავა (+91 კგ) მესამეზე გავიდნენ.

— ევროპამდე კიდევ ხომ არ გეგმავთ საერთაშორისო ტურნირში გამოსვლას?

— მხოლოდ შეკრებებს გავივლით. ჯერ ბაქოში, თვრამეტდღიანს, შემდეგ კი თბილისში ერთკვირიანი დასკვნითი შეკრება გვექნება.

— შემადგელობას ამის შემდეგ დაასახელებთ?

— საბოლოო გადაწყვეტილებას ბაქოს შეკრების შემდეგ მივიღებ. აზერბაიჯანში ათი მოკრივე მიმყავს. იქაურ ნაკრებთან ერთად მოვამზადებით, რაც ბიჭებს ძალიან წაადგებათ. აზერები ხომ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესონი არიან. ერთობლივი ვარჯიშების ბოლო დღეებში სპარინგ-შეხვედრებს ჩავატარებთ და შემადგენლობა ამის მერე გაცხადდება, თუმცა ბირთვი უკვე გამოიკვეთა.

— ნიკოლოზ იზორია და კონსტანტინე კუპატაძე ყველაზე ტიტულიანნი არიან ნაკრებში. რუმინეთში კი მედალს ვერც ერთი ვერ შესწვდა.

— საგანგაშო არაფერია. ნიკამ უცებ დაიკლო წონა და წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. კუპატაძესაც არ გაუმართლა ამჯერად, მაგრამ მის შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება. კოტეს მარცხიდან მეორე დღეს, დილის ექვს საათზე გამოვედი სასტუმროდან და გაოცებისგან ადგილზე გავშეშდი. სასტუმროს გარშემო დარბოდა. წაგებამ ისე გაახელა, რამდენიმე საათში ინდივიდუალურად ივარჯიშა. ასეთი შემართება და მონდომება იშვიათია.

— რეალურად რა დონის ნაკრები გვყავს და ევროპაზე რას ველოდოთ?

— პირადად ყველა სანჯის თითო მედალს ვგეგმავ. იმედია, პროგნოზი გამართლდება. მეტის მიღწევაზეც ვიფიქრებდით, ეს ახალგაზრდა ბიჭები უფრო გამოცდილები რომ იყვნენ საერთაშორისო ბრძოლებში. პოტენციალი კი ნამდვილად აქვთ

ოთარ მაღლაკელიძე

იშრომე მშვიდად, მთელი გულით და ცივი გონებით

ოცნება ჟუსტინი: ხანგრძლივი კარიერა და უიმბლდონი

24 წლის ჟუსტინ ენენ-არდენმა ზედიზედ მეორედ, სულ კი მესამედ მოიგო „როლან გაროსი“ და თანაც ეს სეტის წაუგებლად გააკეთა. ჭინკა ბელგიელის საკარიერო მონაგარი უკვე 5 სლემტიტულს მოიცავს და ჟუსტინი ამაზე გაჩერებას არ აპირებს. დიდხანს თამაში, ბევრი გამარჯვება და, რაც მთავარია, უიმბლდონის მოგება — ასეთია თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის უპირველესი ვარსკვლავის გეგმები. უიმბლდონს რაც შეეხება, ჟუსტინის სლემმონაგარს, სწორედ უმთავრესი საბალახო ტიტული აკლია და იქ გამარჯვება მის უმთავრეს ოცნებად რჩება

AFP პარიზიდან

— თქვენ მხოლოდ 24 წლის ხართ და უკვე „დიდი სლემის“ 5 ტურნირი მოიგეთ. კარიერის ბოლოსთვის ამ ციფრის 10-მდე აყვანას ხომ არ აპირებთ?

— ამაზე ახლა არ ვფიქრობ. ერთი კი ნამდვილად ვიცი — „დიდი სლემის“ ტურნირია თუ არა, ყველა მატჩში ვცდილობ, საუკეთესო თამაში ვაჩვენო. ამას კი შედეგი მოაქვს. ჩემი კარიერისთვის ბევრი რამ გავწირე და მის შესაქმნელად დიდი ჯაფა დამადგა. ეს გამარჯვებები ჩემი შრომის ანაზღაურებაა. ბოლო ორი წელია, ტრავმებმა ძალიან გამტანჯა, მაგრამ „დიდი სლემის“ ერთ ტურნირს მაინც ვიგებ ხოლმე. დამეთანხმეთ, არცთუ ცუდი საშუალო შედეგია.

— ცნობილია, რომ შტეფი გრაფის დიდი თაყვანისმცემელი იყვით. ბევრს ნიშნავს ის ფაქტი, რომ თქვენამდე აქ ტიტულის დაცვა ბოლოს სწორედ მან მოახერხა?

— ეს მართლაც საოცარია. მაგრამ შტეფის როგორ შეეედრები, მან ხომ აქ 6-ჯერ იმარჯვა. ალბათ, უფრო არანტა სანჩეს-ვიკარიოს ანაც მონიკა სელეშს შეიძლება შემადარონ, რადგან მათ აქ ჩემსავით სამი ტიტული მოუპოვებიათ უმარჯვიათ. ისე კი, ამ ლეგენდებთან ჩემი სახელის მოხსენიება, მართლაც, უდიდესი პატივია.

— რა წვლილი მიუძღვის მწვრთნელს (კარლოს როდრიგესი) თქვენს წარმატებაში?

— უდიდესი. მას რომ არ შევხვედროდი, არაფრის გამკეთებელი არ ვიქნებოდი. 10 წელია, ერთად მოვდივართ. ეს იყო ურთიერთნდობისა და პატივისცემის 10 წელიწადი და მიუხედავად იმისა, რომ აღმავლობაც ბევრი იყო და დაღმასვლაც, მაინც ერთად ვართ. ამდენი ხნის მიუხედავად, მაინც მოძებნის ხოლმე რაღაც ახალს, რომ გამამხნევოს და მეტი მოტივაცია შემძინოს. ის ჩემი წარმატებების ერთ-ერთი შემოქმედია.

— ჟუსტინ, კორტზე რა არის თქვენი მთავარი იარაღი — გული თუ გონება?

— ძნელია ამაზე პასუხი. ერთი მხრივ, ყველა დარტყმაში, ყველა მომენტში მთელი გული უნდა ჩადო, მაგრამ, ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ცივი გონებით იმოქმედო. რომელიმე ერთით წარმატების მიღწევა გაჭირდება, ორივე აუცილებელია.

— პირველ ათეულში არიან მოთამაშეები, რომლებიც შოუ-ბიზნესშიც იკეთებენ კარიერას. ზოგი მოდელობს, ზოგი ჟურნალებისთვის პოზიორობს... თქვენ არ გინდათ ასე ცხოვრება?

— მე განვსხვავდები სხვა მოთამაშეებისგან. ისე კი რითია ცუდი, რომ დღეს ქალთა ჩოგბურთში ამდენი განსხვავებული ტიპის პიროვნებამ მოიყარა თავი. ყველას ხომ თავისი ინტერესები აქვს. ვფიქრობ, ეს მრავალფეროვნება ძალიან კარგია. ჩემთვის კი მთავარი თამაშია. სხვა რამ ნაკლებად მაღელვებს. ამაზე საინტერესო რა უნდა იყოს, როცა კორტზე სიტუაცია იძაბება, ყველა ქულა გადამწყვეტია და ნერვები საკუთარ ცხოვრებას იწყებენ... სწორედ, ასეთი გრძნობების გამო ვთამაშობ ჩოგბურთს.

— თქვენ მხოლოდ უიმბლდონი გაკლიათ და კარიერულ „დიდ სლემს“ შეაგროვებთ. ამის შემდეგ წახვალთ?

— არა. ადრეც ვთქვი და ვიმეორებ, რომ მინდა, ხანგრძლივი კარიერა მქონდეს, მაგრამ ამაში ჯანმრთელობამაც უნდა შემიწყოს ხელი. ამიტომ თავს ცოტა უნდა მოვუფრთხილდე. უიმბლდონი კი ჩემს მთავარ ოცნებად რჩება.

— როგორ ფიქრობთ, ახლა თქვენი ფიზიკური და ტექნიკური შესაძლებლობების პიკზე იმყოფებით, თუ მომატება კიდევ შეგიძლიათ?

— ეს გამარჯვება ჩემთვის იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ წლეულს აქ ჩემი საუკეთესო თამაში ნამდვილად არ მიჩვენებია. ერთი ეგაა, ძალიან მშვიდად ვთამაშობდი, ალბათ, პირველად კარიერაში. მომატება კი ყოველთვის შეიძლება. მე კიდევ ბევრი რამ მაქვს გამოსასწორებელი, თუნდაც ბალახზე სტაბილური თამაში უნდა ვისწავლო.

— რა იყო ამ სიმშვიდის მიზეზი?

— უბრალოდ, კარგად ვაკონტროლებდი ნერვებს. საერთოდ, ნერვიულობა ყველასთვისაა დამახასიათებელი. არ მეგულება ჩოგბურთელი, რომელიც „დიდი სლემის“ ფინალის წინ დაძინებას შეძლებს. დიდი ჩოგბურთელები კი სხვებისგან იმით განსხვავდებიან, რომ არ უჭირთ ამ ფაქტის მიღება და მასთან შეგუება. უბრალოდ, მეც ეს მოვახერხე.

— თქვენი დამარცხება რითი შეიძლება?

— გრუნტზე დაუმარცხებელი ნამდვილად არა ვარ, წლეულს წავაგე კიდეც. დღესაც თანაბარი თამაში იყო. ერთადერთი, რაშიც მეტოქეს ვაჯობე ის იყო, რომ საჭირო გათამაშებების დროს უფრო მშვიდად ვიყავი და ნაკლებად ვცდებოდი.

— და მაინც, რის ხარჯზე შეიძლება თქვენი დამარცხება?

— უკაცრავად, მაგრამ ეს ჩემი თავის ტკივილი არაა. დაე, სხვებმა იფიქრონ ამაზე.

— ბევრის აზრით, თქვენ საუკეთესო ხართ გრუნტზე...

— არ მიყვარს ასეთ რაღაცეებზე ფიქრი. უბრალოდ, ვცდილობ, რომ ყოველი შეხვედრისთვის მოსაგებად განვეწყო.

— მაყურებელმა მშვენიერი ტალღები გააკეთა, რამაც თქვენ ღიმილი მოგგვარათ...

— იმიტომ, რომ ეს ტალღები საკმაოდ დამეხმარა. ამ დროს შეგიძლია, სული მოითქვა, დაწყნარდე და აღარ იჩქარო. ამიტომ ეს იძულებითი შესვენება, ცოტა წამეხმარა კიდეც.

— „როლან გაროსს“ თითქმის მაშინვე მოსდევს უიმბლდონი. ეს ძნელი არაა?

— ამაზე ფიქრიც კი არ მინდა. ძნელი კი არა, უძნელესია.; მხოლოდ რამდენიმე ჩოგბურთელს შეუძლია, ამას გაუძლოს. ვნახოთ, წლეულს რა გამომივა. ისე კი, იქ გამარჯვება ჩემი კარიერის გვირგვინი იქნება. რამდენიმე შანსი კიდევ მექნება, მიზანი რომ ავისრულო.

— კორტზე ყოფნისას ყოველთვის ასი პროცენტით ხართ დარწმუნებული საკუთარ წარმატებაში?

— რა სისულელეა. რა თქმა უნდა, არა. პატარა რაღაც, მაგალითად, ფეხის გადაბრუნება და ყველაფერი უკულმა წავა. მე კი არა, კორტზე ფედერერს აქვს ხოლმე ეჭვები, ის კი უდიდესი ჩოგბურთელი და თანამედროვეობის საუკეთესო მოთამაშეა. ჰოდა, რაღაც ეჭვები მეც მღრღნის ხოლმე მატჩების დროს.

— შეგიძლიათ ახსნათ, თუ რატომ ვერ მოახერხეთ საუკეთესო თამაშის ჩვენება ან ფინალის, ანაც ტურნირის დროს?

— აბა, ამას რაღა მნიშვნელობა აქვს. ხალხს სულაც არ ემახსოვრება, კარგად ვთამაშობდი თუ ცუდად. სამაგიეროდ, გაიხსენებენ, რომ 2006 წლის „როლან გაროსი“ ჟუსტინ ენენ-არდენმა მოიგო.

სალომე დევიძე

ქართველი ქალები კორეიდან ამერიკამდე

დიდ ჩოგბურთში გარდამავალი პერიოდია — „როლან გაროსით“ სათიხნარო სეზონი დასრულდა და ყველაზე მოკლე და სწრაფი საბალახო სეზონი გახურდა „ქვინზ-კლაბისა“ თუ ჭალის კორტებზე.

ამ დროს კი ქართველებს ჩვენი საჩოგბურთო ინტერესი გვაქვს. ყურადღება სხვადასხვა პატარა ტურნირებისკენ გვაქვს მიპყრობილი, რომელთა უმრავლესობა არა ATP-სა თუ WTA-ს, არამედ ITF-ის ეგიდით ტარდება და რომლებშიც ამ კვირაში კარგა ბლომად ჩვეხებურები იღებენ მონაწილეობას.

ქალთა შორის ასეთი შეჯიბრი სამია და სხვადასხვა კონტინენტზე იმართება. ქართული ჩოგბურთის ნორჩი მედი ანა ტატიშვილი კვლავაც აზიაშია და იაპონიიდან სამხრეთ კორეაში გადასული იქაური ინჩეონის ჰარდზე ცდის ბედს. 25 ათასდოლარიანი ტურნირის პირველ წრეში ანა, რომელიც WTA-ს მიმდინარე კლასიფიკაციაში მისთვის უმაღლეს 313 ადგილზე იმყოფება 68 ქულით, მასპინძელ მი იოოს შეხვდება.

ევროპაში, იტალიური ვორიციას თიხაზე მიმდინარე ასევე 25 ათასიანი შეჯიბრის მეორე ნომერია ჩვენი ქალთა ჩოგბურთის ლიდერი მაკა ჩახნაშვილი, ვინც რეიტინგში 102 ქულით 245-ე ადგილზე იმყოფება.

25 ათასიანი ტურნირი ტარდება ოკეანის გაღმა, ამერიკული ალენტაუნის ჰარდზეც და იქ ორი ჩვენებური ითამაშებს. რეიტინგის 259-ე ნომერი სოფო მელიქიშვილი მე-6 ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში კორტის მასპინძელს, კამილა ფუზანოს შეხვდება. ეი, კლასიფიკაციის 550-ე ნომერმა სალომე დევიძემ კი ტურნირის ძირითად ბაღეში კვალიფიკაციის გავლით გაიღწია. საამისოდ სალომეს ორი ამერიკელის დამარცხება დასჭირდა — ქართველმა ჯერ ჯილიან ონილს ძოუკო 6:1 6:4, ხოლო მერე ჯენიფერ რადჯს სძლია სამ სეტში 6:1 3:7 6:0. ძირითადი შეჯიბრის პირველ წრეში დევიძე კოლუმბიელ პაოლა ზამბელას დაუპირისპირდება.

ეს ქალების ამბავი, ხოლო ქართული კაცთა ჩოგბურთის პირველი ნომერი ირაკლი ლაბაძე, რომელიც ATP-ის რეიტინგში 169-ე ადგილზეა 229 ქულით, ამ კვირაში შვეიცარიის ქალაქ ლუგანოს თიხაზე მიმდინარე 100 ათასიან ჩელენჯერზე თამაშობს და პირველ წრეში მექსიკელ სანტიაგო გონსალესს ხვდება.

მსოფლიოს თასი — U21. 6-26 ივნისი

საქართველო 17:102 სამხრეთ აფრიკა

13 ივნისი. კლერმონი. საფრანგეთი

კატა-სტროფეები აფრიკიდან

ქართველებმა თავი ირლანდიას შეუნახეს

საქართველო: გურგენიძე, გეგენავა, სულამანიძე, კაჭარავა (კაპ.), პ. მაისურაძე, მალაღურაძე, ბეგაძე, გაბუნია, თავართქილაძე, ს. მაისურაძე, აზალაძე, არჩუაშვილი, ქუბრიაშვილი, ჭყონია, ყალიჩავა

შეცვლა ზე შევიდნენ: კილასონია, მინაშვილი, მჟავანაძე, სოსელია, ჟღენტი, ქარუხნიშვილი, შეყლაშვილი

გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიოს თასზე ჯგუფის მეორე მატჩი კატასტროფული ანგარიშით წააგო სამხრეთ აფრიკასთან და თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

კაცმა რომ თქვას, უფრო დიდი სენსაცია იქნებოდა დებიუტანტი ქართველები შემდეგ ეტაპზე რომ გასულიყვნენ, რაკი ჯგუფის მეტოქეებად ბობოლა უელსი და ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი სამხრეთ აფრიკა ჰყავდათ და ოთხ დღეში მძლავრ ირლანდიას ეთამაშებიან. ახლა ჩვენებს ისღა დარჩენიათ, 5-12 ადგილებისთვის იბრძოლონ.

„ტაქტიკური მოსაზრებების გამო, ფაქტობრივად მეორე შემადგენლობა ვათამაშეთ. სამხრეთ აფრიკასთან არანაირი შანსი არ გვქონდა და ძირითადი ბირთვი ირლანდიისთვის დავასვენეთ. მთავარია, ჯგუფში ფავორიტთაგან ერთს მაინც მოვუგოთ. ასეთ მეტოქედ კი ირლანდიაა მიგვაჩნია.

დღეს ძალიან ცხელოდა, ოცდაცამეტი გრადუსი სიცხე იყო. ამ ხვატში, თან მეორე შემადგენლობით ბიჭებმა ბოლომდე ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები. პირველი ლელო ტაიმის დასაწყისში გავიტანეთ, როდესაც ჩვენ შერკინებას მეტოქის დაცვა წესებით ვერ დაუდგა და მსაჯმა ტექნიკური ლელო ჩაგვითვალა. მეორე კი ტაიმის ბოლოს გავიტანეთ. რომ იტყვიან თხუთმეტივე კაცი მიაწვა აფრიკელებს და ჯგუფურად დავდეთ ბურთი" — ეს გვითხრა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მენეჯერმა ზურაბ ზოიძემ საფრანგეთში რომ დავუკავშირდით.

შეგახსენებთ, რომ თორმეტგუნდა ელიტარულ მსოფლიოს თასზე საქართველო ბოლო ნომრადაა განთესილი.

ბაჩო სვანიძე

ჭლეი ოფი 2006. ფინალი



AFP ფოტოგრაფიები

გადამწყვეტი გოლი „ედმონტონის" კარში

კორი-ორი და მაღალი სტაალი

როგორც ჩანს, სულ მალე თასის ახალი მფლობელის ვინაობას შევიტყობთ. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც „კაროლინამ" მეოთხე მატჩში დრამატულ ბრძოლაში გადამწყვეტი მოგება მოიპოვა, ნათელია, რომ ნჰლ-ის ცაზე კიდევ ერთი ახალი ვარსკვლავი ამოდის, რომლის სახელიც მსოფლიოში უძველეს თასზე დაიწერება

12 ივნისი

კაროლინა 3:1 ედმონტონი

ედმონტონი 1:2 კაროლინა

1:1 0:0 0:1

1:0 სამსონოვი (9), 1:1 სტილმანი (10), 1:2 რეკი (56)

აი, გადასვლაც ასეთი უნდა. წინა სეზონში „ტამპას" რიგებში კორი სტილმანი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო, მაგრამ ზაფხულში გუნდის მესვეურებმა მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას ვაცლაკ პროსპექტის დაბრუნება ამჯობინეს, სტილმანი კი იმავე დივიზიონის გუნდ „კაროლინაში" გადაბარგდა. მაშინ სტილმანი ალბათ დარწმუნებული არ იყო, რომ 2006 წლის ივნისში თავს თასის ფინალში ამოყოფდა, მაგრამ ფაქტი ფაქტია, შესაძლოა, უკვე მომდევნო მატჩში სტილმანი იშვიათი მიღწევის მფლობელი გახდეს — ზედიზედ მეორე სეზონში ორი სხვადასხვა გუნდის რიგებში თასი მოიპოვოს. მით უმეტეს, რომ ის ახალ კლუბშიც მუდმივად „კაროლინას" წამყვან სამეულებში თამაშობს, ხოლო ორშაბათს მოგების ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი იყო. სერგეი სამსონოვის მიერ ანგარიშის გახსნის შემდეგ 23 წამში სტილმანმა წონასწორობა აღადგინა. რიცხვმრავლობის მიღებისთანავე სტუმრებმა მარტივი კომბინაცია გაითამაშეს და ფრანტიშეკ კაბერლეს პასის შემდეგ სტილმანმა ისე ოსტატურად დაჰკრა, რომ იუსი მარკანენს არანაირი შანსი არ დუტოვა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „კაროლინა" ფინალურ სერიას რიცხვმრავლობის კარგი გამოყენების ხარჯზე იგებს. აი, ედმონტონი" კი ამ მხრივ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს — ხუმრობა ხომ არ არის, ოთხ მატჩში მიღებული 25 შანსიდან „ოილერსმა" მხოლოდ ერთი გამოიყენა. ცხადია, ასეთი მაჩვენებლებით ფინალს ვერ მოიგებ.

პირველ პერიოდში გოლების გაცვლის შემდეგ ორივე გუნდს საკმაო შანსი ჰქონდა, მაგრამ თანდათან ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ცოტაც და „კაროლინა" თავისი ზესწრაფი თამაშით მეტოქეს აიძულებდა, შეცდომები დაეშვა. საბოლოოდ ასეც მოხდა. „ედმონტონის" ყველაზე გამოცდილმა მცველმა კრის პრონგერმა საკუთარი ზონიდან შაიბა ვერ გამოიტანა და მას ჩვენი გმირი სტილმანი დაეუფლა, შემდეგ კი კართან მყოფმა ერიკ სტაალმა შაიბა ხელით გააჩერა, ყინულზე დააგდო და ვეტერან მარკ რეკის გადააწოდა, რომელმაც რეზინის დისკი ზედა ძელის ქვეშ მოათავსა. „კიდევ კარგი, მაღალი ვარ, თორემ ამ შაიბას ვერ დავიმორჩილებდი" — თქვა ნამატჩევს სტაალმა. „კაროლინას" 21 წლის ახალგარდა ლიდერი მაინცდამაინც არ ბრწყინავს ფინალში, მაგრამ ამჯერად ორი პასი მიითვალა. სტილმანს კი ამ საგოლე შეტევაშიც ჩაეწერა ქულა პასის სახით და მან თავისი ქულიანი სერია 12 მატჩამდე გაზარდა. ფინალი თუ კიდევ სამი თამაშით გაგრძელდება და სტილმანი სამივეში თავს გამოიჩენს, მას კლუბის ახალი რეკორდის დამყარების შანსი მიეცემა. თუმც, ვფიქრობთ, სტილმანსა და მის პარტნიორებს არ სურთ, სერიის ასე გაჭიანურება.

სამველ ღარიბიანი

რუსი ქალები უროს არ თმობენ

სპორტის დედოფალმა კარგა ხნის წინ ასე გადაანაწილა თავისი სახეობები — სპრინტში აზნაურობა ფეხმარდ შაკანიანებს უბოძა, სიმძიმეების სროლა-ტყორცნა-კვრა კი ჩრდილოევროპელებს, უფრო კი სლავებს და თითქოს ასე დაიბარა, ჩემპიონობა-რეკორდებს ერთმანეთში გაინაწილებთო.

ურის ტყორცნაში ქალებში მსოფლიოს რეკორდი რუს ტატიანა ლისენკოს ეკუთვნოდა — 77.06 მეტრი და ამ შედეგს ისევ რუსმა გადააჭარბა. ტულაში რუსეთის ჩემპიონატში გულფია ხანაფეევამ ურო 77.26 მეტრზე გააშხუილა, ამ შედეგით ლისენკოსაც აჯობა, ყველა სხვა რუს დედაკაცსაც და ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მსოფლიოს რეკორდით მოიგო.

ხანაფეევას აქამდე სერიოზული არაფერი მოუგია, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდა გახლავთ და არც ისე დიდი ხანია, საჩემპიონო ძალა ჩაუდგა ვეება გულ-მკერდში. ერთადერთი სახსენებლად ღირსი წარმატება 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოა. თუმც კოჭებიდან დაწყებული, ღაჟღაჟა ლოყებით დამთავრებული ყველაფერზე ეტყობოდა, ურის სხვებზე შორს გამტყორცნი რომ შეიქნებოდა. ორიოდ კვირის წინ მოსკოვში 76,94 შედეგი აჩვენა და მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგიც დააფიქსირა.

ტულაში მას თავიდან გაუჭირდა ძველ რეკორდსმენ ლისენკოსთან ბრძოლა, კვალიფიკაციიდან მოყოლებული, ფინალშიც მის უკან მიდიოდა, თან ყოველ ცდაზე ერთი ან ორი მეტრით უარეს შედეგს აჩვენებდა, მაგრამ ფინალში მესამე ცდაზე ისე დაბზრიალდა და ამხელა რკინის ნაჭერი იმხელაზე გაიქნია, დამსწრეებმა უკვე მფრინავი ურის შემხედვარე გაივლეს გულში, აი, ახალი ჩემპიონიო. მალე კი ისიც გაირკვა, რომ ხანაფეევამ ახალი მსოფლიო რეკორდი გამოაცხო.

რაც შეეხება ლისენკოს, მან ფინალში პირველ ცდაზე ნაჩვენები 75,28 ვეღარაფრით გააუმჯობესა და მეორე ადგილს დასჯერდა.

კოტე ყორღია

გულფია ხანაფეევამ ტატიანა ლისენკოს რეკორდი წაართვა

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი ჰერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფრაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიანი, ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge